პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ხუთშაბათი,
11
მარტი
1937 წ.
№ 57 (4858)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია:

- დროზე და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ თესვა (მოწინავე)
- აზერბეიჯანის სს რესპუბლიკის საბჭოების საგანგებო ყრილობა
- საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება — პარტიული მუშაობის ფართო პროგრამაა.
- პოლკოვნ... ლ. გარსიაშვილი — სამოქალაქო ომი ესპანეთში (ფელეტონი)
- აფრ. ჯიბუტი—ნახევარი მილიარდი ციტრუსის ნაყოფი (ფელეტონი)

უცხოეთში:

- გააფთრებული იერიშები გვადალახარის ფრონტზე მოგერიებულია
- ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი
- ფაშისტ მეამბოხეთა სისხლიანი პარპაში
- სიკვდილის ზრდა ბერლინში
- კანონპროექტი საფრანგეთის „ნაციონალური თავდაცვის სესხის“ გამოშვების შესახებ

დროზე და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ თესვა

მეორე სტახანოვური გაზაფხულის სამუშაოები უნდა წარიმართოს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის ლოზუნგის — „ბრძოლა 7-8 მილიარდი ფუთი პურისათვის“ და საქართველოს საკუთარი მარცვლეულით უზრუნველყოფის შესახებ ამხ. ლ. ბერიას დასმული ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით. ეს გვავალებს სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო კულტურების თესვა და გადაჭრით მივაღწიოთ მაღალ მოსავალს.

მეორე სტახანოვური გაზაფხულის წინაშე მდგომი გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად ყოველგვარი პირობა არსებობს. ორდენოსან საქართველოს სოციალისტურ მინდვრებზე მუშაობს 2.400 ტრაქტორი, რომელთა ძალოვნება აღწევს 40.000 ცხენის ძალამდე. 44 მტს შეიარაღებულია აგრეთვე სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

საკოლმეურნეო წყობამ მოგვცა ახალი ყალიბის ადამიანები — სტახანოველები, რომლებმაც შარშან მაღალი აგროტექნიკის დანერგვით ცალკეულ ნაკვეთებზე მიიღეს უხვი მოსავალი. მაგრამ წელს არ კმარა მაღალი მოსავლის მიღება მხოლოდ ცალკეულ ნაკვეთებიდან. მთელი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ უხვი მოსავალი მივიღოთ საბჭოთა მეურნეობის და კოლმეურნეობის ყოველი ნაკვეთიდან. ეს კი მოითხოვს სტახანოვური აგროტექნიკის მტკიცედ დანერგვას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. არ კმარა შესრულდეს მარტო თესვის გეგმა. საჭიროა დაითესოს დროულად, ხარისხიანად და სხვ.

დადგა მეტად პასუხსაგებ პერიოდი. საცაა თავთავიანი მარცვლეულის თესვა მასობრივად უნდა გაჩაღდეს. ზოგან თესვა კიდეც დაიწყეს. მაგალითად, გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა ხორბალი და ქერი დათესეს 767 ჰექტარი, თელავისამ — 244 ჰექტ. თბილისისამ — 276, სიღნაღისამ — 157.

მაგრამ არის ფაქტები, რომ თესვისათვის მზადებაში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ზოგან ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ შეუგნიათ წლევანდელი წლის განსაკუთრებული თავისებურება.

ავიღოთ თესლის საკითხი. 5 მარტისათვის ბოგდანოვკის, ბორჩალოს, ახალქალაქის და საგარეჯოს რაიონების კოლმეურნეობებს დამთავრებული არ ჰქონდათ თესლის გაწმენდა კონდიციურობამდე დაყვანით. ჩამორჩენის მიზეზია ის, რომ რაიმიწგანებმა ვერ უზრუნველჰყვეს თესლის გაწმენდისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა. ბორჩალოს რაიონმა თესვა 20 მარტისათვის უნდა დაამთავროს, მაგრამ იქ მთელ რიგ კოლმეურნეობებს არ დაუმთავრებიათ თესლის გაწმენდა-გადარჩევა.

თესვის წარმატებით ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თესლის გადაცვლის ოპერაციების დროზე დამთავრებას. მაგრამ ამას ვერ დაიკვეხნის „საქზაგოტზერნო“. 4 მარტისათვის „ზაგოტზერნოს“ მხოლოდ სანახევროდ ჰქონდა შესრულებული სათესლე ქერის შემოზიდვის გეგმა.

ცალკეული რაიონები უსულგულო დამოკიდებულებას იჩენენ სათესლე მასალისადმი. არის ფაქტები, რომ „ზაგოტზერნოს“ პუნქტებიდან მათ დროულად არ მიაქვთ სათესლე მასალა. მაგალითად, ახალქალაქის, ადიგენის და ბოგდანოვკის რაიონების სახელზე მოსული გადარჩეული სათესლე მასალა აწყვია „ზაგოტზერნოს“ პუნქტებში. ეს ყოვლად დაუშვებელი გულგრილობა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოსწორებული. მიწგანებისა და მტს-ების მიერ საამისოდ ჯერ კიდევ არის დრო.

საჭიროა კოლმეურნეობების და მტს-ების მთელი ტრანსპორტი გადასროლილ იქნას ამ სამუშაოზე. ამოცანა ის არის, რომ სათესლე მასალის გადაზიდვა პუნქტებიდან და გადაცვლის ოპერაციები დამთავრდეს 15 მარტისათვის.

საგაზაფხულო კულტურების მოსავლიანობის აწევისათვის მეტად მნიშვნელოვანია ნაკელის დროულად შეტანა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ბლომად დაყრილმა ნაკელმა სავსე ბეღელი იცისო“. მაგრამ ამ საქმისათვის ბევრ რაიონებს ბოლშევიკურად არ მოუკიდნიათ ხელი. ამით აიხსნება, რომ გურჯაანის, კასპის, სიღნაღის, ყვარლის და ბორჩალოს რაიონებში ნაკელის მინდვრად გატანა ნელი ტემპით სწარმოებს.

მტს-ები და მიწგანები ყოველმხრივ მომზადებულნი უნდა შეხვდნენ თესვას. მძლავრი ტექნიკური ბაზა და ცოცხალი გამწევი ძალა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ.

მიწათმოქმედების ზოგიერთ მუშაკს წვრილმანად მიაჩნია მუშა-პირუტყვის გადაყვანა გაძლიერებულ კვებაზე. მაგალითად, ხარაგოულის რაიონის ლელვანის კოლმეურნეობაში მუშა-პირუტყვი ჯერაც არ არის გადაყვანილი გაძლიერებულ კვებაზე. მუშა-პირუტყვი დაძაბუნებულია. ასეთივე მდგომარეობაა ვანის რაიონის კოლმეურნეობა „შრომაში“.

თესვის მასობრივად დაწყებამდე დარჩენილი მცირედი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ შემჩნეულ ნაკლთა დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად. საგაზაფხულო თესვა ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანაა და, რადაც უნდა დაგვიჯდეს, იგი დროზე და მაღალხარისხოვნად უნდა ჩავატაროთ. ამას მოითხოვენ პარტია და ხელისუფლება. ამას შევძლებთ სტახანოვური მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღებისა და კოლმეურნეობებში ძალთა სწორი განაწილებით. კომუნისტები ვალდებული არიან იყვნენ მაღალი მოსავლისათვის მოძრაობის მოწინავე რიგებში. მათ უნდა გვიჩვენონ მასების დარაზმვის ხელოვნება. მეორე სტახანოვური წლის საგაზაფხულო სამუშაოები მოითხოვს ყოველდღიურ მტკიცე პარტიულ ხელმძღვანელობას.

აზერბეიჯანის სს რესპუბლიკის საბჭოების საგანგებო ყრილობა

ბაქო, 10 მარტი (საქდესი). დღეს საღამოს მეცნიერებათა აკადემიის აზერბეიჯანის ფილიალის შენობაში ხელახლა შეიკრიბნენ აზერბეიჯანის ხალხის ამორჩეულნი, რათა სრულიად-აზერბეიჯანის საბჭოების საგანგებო მე-9 ყრილობაზე განიხილონ და დაამტკიცონ მოკავშირე რესპუბლიკის ძირითადი კანონი — ახალი კონსტიტუცია. დელეგატებს შორის ბევრია ორდენოსანი.

ხსნის რა სხდომას, ყრილობის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ნარიმანოვი თავის პირველ სიტყვას უძღვნის ამხ. ორჯონიკიძის ხსოვნას, ვისი სახელიც განუყრელად დაკავშირებულია სოციალიზმის გამარჯვებებთან აზერბეიჯანში. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მგზნებარე ბოლშევიკის და სოციალისტური ინდუსტრიის გამარჯვებათა ორგანიზატორის ს. ორჯონიკიძის ხსოვნას.

ყრილობამ ერთხმად გარიცხა თავისი შემადგენლობიდან, როგორც ხალხის გამოაშკარავებული მტრები, კონტრრევოლუციური ტროცკისტები და ბურჟუაზიული ნაციონალისტები რუხულა ახუნდოვი, მიკაილ გუსეინოვი, მირზა მამედ კასუმოვი, ბალაბეკ ჰასანბეკოვი, ქერიმ აბდულოვი.

დღეს მოხსენებით აზერბეიჯანის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ გამოვიდა აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. უსეინ რახმანოვი.

◇ ◇ ◇

ულან-უდე-მოსკოვის სათხილამურო გადასვლის მონაწილეთა დაჯილდოვების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაჯილდოვებულ იქნან „საპატიო ნიშნის“ ორდენით სათხილამურო გადასვლის კომანდის მონაწილე — ქალები, ბურიატ-მონღოლეთის კომკავშირლები ამხ. ვ. გ. ლუბიმსკაია, მ. უ. ხახალოვა, ს. ა. ტიხეევა, ე. ა. კონსტანტინოვა, ა. ქ. სუნქუევა, გადასვლის კომანდორი ამხ. ლ. ნ. ბობიკინი და კომანდის პოლიტხელმძღვანელი ამხ. ა. ს. საზონოვი, რომლებმაც მოახდინეს სათხილამურო გადასვლა 6.045 კილომეტრის მანძილზე მარშრუტით ულან-უდე-მოსკოვი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ი. აკულოვი**

მოსკოვი, კრემლი.
1937 წლის 9 მარტი.

◇ ◇ ◇

ხარჯები ინგლისის საჰაერო თავდაცვისათვის

ლონდონი, 9 მარტი (საქდესი). ინგლისის მთავრობის ხარჯებს საჰაერო თავდაცვის მოსაწყობად 1937 წელს ანგარიშობენ 4.617.500 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, რომლის მიხედვით ეს ხარჯები 3.259.250 გირვანქა სტერლინგით გადიდებულია 1936 წელთან შედარებით. გარდა ამისა, ხარჯებს ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის ანგარიშობენ 598 ათასი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

მდგომარეობა ესპანეთში

გააფთრებული იერიშები გვადალახარის ფრონტზე მოგერიებულია

პარიზი, 9 მარტი (საქდესი). ესპანეთიდან მიღებული ცნობებით, გუშინ მეამბოხეთა ჯარები გააფთრებულ შეტევაზე გადმოვიდნენ გვადალახარის სექტორში. მეამბოხენი ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ ტანკების დახმარებით გადმოვიდნენ შეტევაზე. რესპუბლიკელთა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებმა დაუყოვნებლივ დაუწყეს მათ სროლა და შესძლეს მეამბოხეთა შეჩერება. პირველი მარცხის შემდეგ მეამბოხეებმა აამოქმედეს ავიაცია. 9 სამმოტორიანმა ყუმბარმტყორცნმა, რომლებსაც გამანადგურებელთა ესკადრილია იცავდა, ყუმბარები დაუშინა რესპუბლიკელთა პოზიციებს და ზურგს. რესპუბლიკელთა საზენიტო ქვემეხებმა და ავიაგამანადგურებლებმა უკუაქციეს მტრის ავიაცია. დილის 11 საათზე, როდესაც მეამბოხეთა პირველი ცდა მარცხით დამთავრდა, მეამბოხეთა არტილერიამ კვლავ ასტეხა სროლა, მეამბოხეთა ქვეითა ჯარებმა კი არტილერიის ცეცხლის დახმარებით გაანახლეს იერიში. მაგრამ, რესპუბლიკელებმა იერიში კვლავ მოიგერიეს. ხანმოკლე შესვენების შემდეგ, მეამბოხეებმა მესამე იერიში დაიწყეს იმავე უბანზე. ამჯერად რესპუბლიკელთა არტილერიამ კვლავ აუტეხა განუწყვეტელი ცეცხლი შეტევაზე გადმოსულ მტრის ჯარებს, აგრეთვე მათი ზურგის პოზიციებს, რათა ხელი შეეშალა დამხმარე ნაწილების მოყვანისათვის. მეამბოხენი ამაოდ ცდილობდნენ წინწამოწევას. რესპუბლიკელთა ტყვიამფრქვევების ცეცხლმა ყველა მათი ცდა გააქარწყლა. ბრძოლის ხაზიდან მიღებული უკანასკნელი ცნობების თანახმად, დღის მეორე ნახევრის დამდეგს მეამბოხეთა იერიში ყველგან მოგერიებულია.

გუშინ მეამბოხეები ამაოდ ოთხჯერ გადმოვიდნენ შეტევაზე რესპუბლიკელთა პოზიციებზე მდინარე ხარამის რაიონში. რესპუბლიკელებმა მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს, შემდეგ კი კონტრიერიშზე გადავიდნენ. ბრძოლები გრძელდებოდა დაღამებამდე. მადრიდიდან მიღებული ყველა ცნობა იმას მოწმობს, რომ ბრძოლებს გვადალახარში განსაკუთრებით დაძაბული ხასიათი ჰქონდა. მეამბოხეთა 2 ტანკის გარდა, რომლებიც მწყობრიდან გამოიყვანა რესპუბლიკელთა ქვემეხებს ცეცხლმა, სხვა 5 ტანკი გამოუსადეგრად არის ქცეული.

მადრიდის დაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ცენტრალურ ფრონტზე, გვადალახარის რაიონში, მეამბოხენი ცდილობდნენ გაეშალათ ძლიერი შემოტევა, აამოქმედეს რა 30 ტანკი, ტყვიამფრქვევები და არტილერია. მაგრამ, რესპუბლიკელებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს. უფრო მოგვიანებით ისინი კონტრშეტევაზე გადავიდნენ, მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 2 ტანკი და ხელთ იგდეს ბევრი ტყვე, მათ შორის 3 იტალიელი.

გენ. მიახას განცხადება ჟურნალისტებს

პარიზი, 9 მარტი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მადრიდის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალ მიახამ გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

„მეამბოხეებმა დღეს დილით დაიწყეს დიდი შეტევა გვადალახარის რაიონში. ეს მეხუთე ცდაა დედაქალაქს შემოუტიონ“. მიახამ დასძინა: „გულდამშვიდებული იყავით. ყველაფერი მზად არის წინააღმდეგობის გასაწევად, როგორც გვადალახარის ფრონტზე, ისე ლას როსასის მიდამოებსა და სხვა ადგილებში. ჩვენ საგრძნობ ძალებს თავი მოუყარეთ ლას როსასსა და მდინარე ხარამის რაიონში, სადაც მალე მოველით მტრის იერიშებს. ერთხელ კიდევ ვაცხადებ: ყველაფერი მზად არის“.

გვადალახარის რაიონში მომხდარი ბრძოლების შემდეგ

პარიზი, 9 მარტი (საქდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობას, რომელიც გამოქვეყნებულია დღეს, შუადღისას. ცნობაში ნათქვამია, რომ გვადალახარის რაიონში 8 მარტს მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. მტერმა, რომელიც რიცხვობრივად და ტექნიკური საშუალებებით სჭარბობდა რესპუბლიკელებს, იერიში მიიტანა მათზე. რესპუბლიკელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ კოგოლიოსსა და იელს შორის მდებარე პოზიციებისაკენ, სადაც მათ შეაჩერეს მეამბოხეთა შემდგომი შემოტევა. მეამბოხეთა ამ შეტევაში მონაწილეობას იღებდნენ იტალიელთა მნიშვნელოვანი ნაწილები. მთავრობის ჯარების მიერ დატყვევებულთა შორის არიან მთელი რიგი იტალიელები. რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს „ფიატის“ მარკის 2 ტანკი.

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის კომუნიკე

ლონდონი, 9 მარტი (საქდესი). გუშინ პლენარულ სხდომაზე ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტმა დაამტკიცა ესპანეთის საზღვრებზე სახმელეთო და საზღვაო კონტროლის დაწესების გეგმა.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, კომიტეტის მიერ გამოშვებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის მთავრობებმა აცნობეს კომიტეტს, რომ ისინი მზად არიან შეუდგნენ 13 მარტს თავის ვალდებულებათა შესრულებას კონტროლის დარგში. საფრანგეთის წარმომადგენლის წინადადებით, გადასწყდა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს გარდა შეყვანილ იქნენ საკონტროლო ორგანიზაციის ლონდონის ბიუროს შემადგენლობაში კიდევ სამი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები. კომიტეტს განზრახული აქვს განაგრძოს ჩაურევლობის შესახებ შეთანხმების გაფართოების საკითხის გამოკვლევა იმ მიზნით, რომ აღიკვეთოს არაპირდაპირი ჩარევის სხვა ფორმები, მათ შორის ამათუიმ მხრიდან ესპანეთისათვის ფინანსური დახმარების გაწევა და ესპანეთში იმ უცხოელთა გამგზავრება, რომელთაც განზრახული აქვთ გაახანგრძლივონ ან გაართულონ ამჟამად არსებული კონფლიქტი. განზრახულია აგრეთვე განიხილონ, როგორც კი სამისო შესაძლებლობა იქნება, ესპანეთიდან ყველა იმ არაესპანელის უკან გამოწვევის საკითხი, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ღებულობენ მონაწილეობას კონფლიქტში.

როგორც რეიტერის სააგენტო მიუთითებს, კონტროლის აპარატის შესანახავი ხარჯების დაფარვაში გერმანიის მონაწილეობის საკითხი გადაუჭრელი რჩება. გერმანიის მთავრობა ახლა თანახმაა გადაიხადოს 10 ათასი გირვანქა სტერლინგი საერთაშორისო ვალუტით მაშინ, როცა მისი წილი ამ ხარჯებში განსაზღვრულია 143 ათასი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით წელიწადში.

ფაშისტ მეამბოხეთა სისხლიანი პარპაში

მადრიდი, გაზეთ „პოლიტიკაში“ (მემარცხენე რესპუბლიკელთა ორგანო) მოთავსებულია ფაშისტ მეამბოხეთა მიერ დაკავებული გრენადიდან ლტოლვილთა საუბარი. ლტოლვილთა სიტყვით, მარტო ამ ქალაქში და გრენადის პროვინციის ქალაქებში ფაშისტებმა დახვრიტეს დაახლოვებით 25 ათასი კაცი (მეტწილად მუშები და გლეხები). დახვრეტილთა შორის არიან — კორტესების დეპუტატები, მათ რიცხვში — გრენადის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი ხოზე პალანკო, როდრიგეზ კოლინა, კორო მონჩო, გრენადის უნივერსიტეტის რექტორი სალვადორ ვილა, სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორები დუარტე და მეხია, პროფესორი გარსია რაბილია, გრენადის მერი ფახარდო, საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების მდივანი ვილოესი ბევრი სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

დახვრიტეს ყველანი, ვინც მონაწილეობას იღებდა სახალხო ფრონტის საარჩევნო აგიტაციაში პარლამენტის უკანასკნელი არჩევნების დროს.

აღნუსხულია არამცირე შემთხვევები გაგიჟებისა ფაშისტური ტერორის ნიადაგზე. კომპოზიტორი ფალია ჭკუაზე შეიშალა, როცა გაიგო პოეტ გარსია ლორკას მოკვლის ამბავი.

ფაშისტებმა, ქალაქი რომ ხელთ იგდეს, უწინარეს ყოვლისა, დაარბიეს მთელი რესპუბლიკური პრესა. მხეცურად მოჰკლეს გაზეთ „ელ დეფენსორ დე გრანადის“ რედაქტორი, ყველა თანამშრომელი და მოსამსახურეები. გადარჩა ამ გაზეთის მხოლოდ ერთი თანამშრომელი, რომელიც გრენადის დაპყრობამდე რამდენიმე დღით ადრე ბარსელონას გაემგზავრა, სამაგიეროდ, მეამბოხეებმა, როცა გაიგეს, რომ მისი ცოლი საავადმყოფოში წევს, გამოათრიეს იგი იქიდან, წაიყვანეს სასაფლაოზე და იქ დახვრიტეს. რედაქციის შენობა გადააქციეს ქალთა საპყრობილედ (საქდესი).

საავტომობილო საწარმოთა მუშების გაფიცვები დეტროიტში

ნიუ-იორკი, 8 მარტი (საქდესი). დღეს დეტროიტში გაფიცვა გამოაცხადა საავტომობილო საწარმოთა 50 ათასზე მეტმა მუშამ. გაფიცულებმა დაიკავეს ფირმა „კრეისლერის“ 5 საწარმო მას შემდეგ, რაც ამ ფირმამ უარი სთქვა ეცნო საავტომობილო საწარმოთა მუშების პროფკავშირი, რომელიც შედის საწარმოო პროფკავშირთა კომიტეტში. გაფიცვასთან დაკავშირებით შეჩერდა მუშაობა აგრეთვე ფირმა „გუძის“ საწარმოებში, სადაც დაბანდებულია 10 ათასი მუშა. გაფიცულნი მოითხოვენ, რათა ადმინისტრაციამ გამართოს მოლაპარაკება პროფკავშირებთან. ფირმა „შევროლეს“ წარმომადგენლებსა და პროფკავშირს შორის წარმოებული უნაყოფო მოლაპარაკების შედეგად შესწყდა მუშაობა ამ ფირმის სამ საწარმოში. გაფიცულებმა დაიკავეს საქარხნო შენობები, აგრეთვე შენობა ფირმა „ჯენერალ მოტორსის“ კიდევ ერთი საწარმოსი, სადაც შეწყვეტილია ყველა სამუშაო. ამ ფირმის მრავალ საწარმოში დროებით შეჩერებულია მუშაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად ფირმის და პროფკავშირის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება სწარმოებს.

საბჭოთა კავშირში

ლენინის აპრილის თეზისების ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენციები

ლენინგრადი, 10 მარტი (საქდესი). ვიბორგის რაიონის ქარხნების „სვეტლანას“, „დვიგატელის“ და სხვათა 11 საწარმოს პარტიული ორგანიზაციები ემზადებიან ლენინის აპრილის თეზისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენციებისათვის. კონფერენციები გაიმართება 15 მარტიდან 20 აპრილამდე. ამ კონფერენციების მოსაწყობად მოწვეული არიან წითელი პროფესურის ინსტიტუტის, ტოლმაჩევის აკადემიის მსმენელნი და რაიონის საუკეთესო პროპაგანდისტები. პარტაქტივის სახლში აწყობენ ლიტერატურის გამოფენას კონფერენციებისათვის.

ბურიატ-მონღოლ მეთხილამურე ქალთა მიღება საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

მოსკოვი, 9 მარტი (საქდესი). 9 მარტს საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შესდგა ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის გულად ქალიშვილთა მიღება, რომელთაც მოახდინეს გმირული გადასვლა მარშრუტით ულან-უდე-მოსკოვი.

მეთხილამურე ქალებთან საუბარში მონაწილეობა მიიღეს საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხ. ლუკიანოვმა, ფაინბერგმა, გორშენინმა, ვერშკოვმა, ვასილიევმა, სსრკ-ს სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ხარჩენკომ. მიღებას დაესწრო აგრეთვე საკ. ალკკ ბურიატ-მონღოლეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. შურუნოვი.

ახალგაზრდა ქალებმა ილაპარაკეს თავის ცხოვრებასა და სწავლაზე, იმაზე, თუ როგორ მოჰქონდათ მათ მოსკოვში ბურიატ-მონღოლი ხალხის მხურვალე სალამი დიდი სტალინისადმი.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულად მეთხილამურე ქალთ მიესალმა ამხ. ლუკიანოვი, რომელმაც აღნიშნა გადასვლის უდიდესი მნიშვნელობა და მიულოცა მის მონაწილეებს წარმატებული ფინიში. ამხ. ლუკიანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისეთი ბრწყინვალე მიღწევა, როგორიცაა გადასვლა ულან-უდე-მოსკოვის მარშრუტით, ეს არის ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის მიერ სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებათა შედეგი.

მოსკოვ-უელენ-მოსკოვი

მოსკოვი, 9 მარტი (საქდესი). ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს მიერ მიღებული ცნობებით, ამხ. ფარიხი 9 მარტს გაფრინდა მარკოვოდან. იმავე დღეს 18 საათსა და 35 წუთზე (ადგილობრივი დროით) მისი თვითმფრინავი „ნ-120“ მშვიდობით დაეშვა ანადირში.

○

ხაბაროვსკი, 9 მარტი (საქდესი). უელენში მოელიან ამხ. ფარიხის მოფრენას. მეზამთრენი თვალყურს ადევნებენ აეროდრომის წესიერად შენახვას, სპობენ ქარისაგან შექმნილ უსწორმასწორო ადგილებს. დღეს უელენში ნათელი, მზიანი დღეა, ტემპერატურა უდრის 21 გრადუსს ნოლის ქვემოთ.

საფოსტო მარკების, ღია ბარათებისა და კონვერტების გაყიდვა

მოსკოვი, 10 მარტი (საქდესი). 1 აპრილიდან საფოსტო მარკების, ღია ბარათებისა და კონვერტების გაყიდვა დაიწყება რესტორანებსა, კაფეებსა, სასადილოებსა და ლუდხანათა დარბაზებში, საპროდუქტო და სამრეწველო საქონლის მაღაზიებსა და სოფლის სამომხმარებლო კოოპერაციის დუქნებში.

სოფლის ყოველ მაღაზიასთან ჩამოჰკიდებენ საფოსტო ყუთებს.

ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

მიწათმოქმედების მინისტრ ურიბეს სიტყვა

ვალენსია, 9 მარტი (საქდესი). ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმის გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი კომპარტიის გენერალური მდივნის დიასის მოხსენების ირგვლივ.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა მიწათმოქმედების მინისტრი ვისენტე ურიბე. მან აღნიშნა, რომ აგრარული პრობლემა თავიდანვე კომპარტიის ყურადღების ცენტრში იდგა. პარტიის აგრარული პოლიტიკა წარმოადგენს ფაშიზმის წინააღმდეგ ძლევამოსილი ბრძოლის ერთერთ გადამწყვეტ და მძლავრ ფაქტორს. „ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, — სთქვა ურიბემ, — რომ რევოლუციური პოლიტიკა სოფლად, რასაც კომუნისტური პარტია იცავს, წარმატებით ტარდება ცხოვრებაში. ჩვენ ვაწყობთ გლეხთა მასების ბრძოლას. ჩვენ ეს ბრძოლა ვყავს ჩვენს ქვეყანაში უმაგალითო დონეზე. ჩვენი პოლიტიკა სოფლად შემდეგში მდგომარეობს: მოვახდინოთ ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია და წარმოების ძირითადი საშუალება — მიწა — გადავცეთ იმათ, ვინც მას ამუშავებს“.

„გლეხობა, — განაგრძობდა ურიბე, — სახალხო ფრონტის განუყრელი შემადგენელი ნაწილი ხდება. კომუნისტური პარტიისათვის მუდამ მთავარი იყო ის, რომ გლეხებს მუშებთან ხელი-ხელჩაკიდებულად ეწარმოებიათ ბრძოლა საერთო ინტერესებისათვის. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად, როცა ჩვენი პარტია, რომელმაც სახალხო ფრონტი შექმნა მოუწოდებს მთელ ესპანელ ხალხს ერთობისაკენ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ“.

დაახასიათა რა გლეხობის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ფაშისტ მეამბოხეების მიერ დაპყრობილ პროვინციებში, ურიბემ განაცხადა:

„სამი თუ ოთხი თვის განმავლობაში ჩვენ გიგანტური მუშაობა ჩავატარეთ გლეხობის სოციალურ-ეკონომიური განთავისუფლებისათვის. ჩვენ მოვსპეთ ლატიფუნდიები (მსხვილი მამულები), ჩვენ დედამიწის პირიდან აღვგავეთ ფეოდალური კასტები, მოვსპეთ მევახშეობის კეთრი“.

შემდეგ ურიბემ აღწერა უდიდესი სიძნელეები, რომელთა დაძლევაც უხდებოდა მთავრობას თავისი აგრარული პოლიტიკის გატარებისას. გვიხდებოდა ბრძოლა „უაზრო და დანაშაულებრივ ექსპერიმენტებთან“, რომლებიც გამოიხატებოდნენ იძულებითი „კოლექტივიზაციის“ ცდებში, გვიხდებოდა ბრძოლა თავისი ნებით მოწყობილ სხვადასხვა კომიტეტის თვითნებობასთან. ამასთან ურიბემ გადაჭრით აღნიშნა, რომ მიწათმოქმედების სამინისტროში მომუშავე კომუნისტები ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ გლეხებს, რომლებიც მოისურვებენ მოაწყონ კოლექტიური მეურნეობანი საკუთარი თავისუფალი ნება-სურვილით, მაგრამ არავითარი საბაბით არ დაუჭერენ მხარს იძულებითს კოლექტივიზაციას, ვინაიდან ეს, სთქვა ურიბემ, „უდრის სამოქალაქო ომის პროვოცირებას სოფლად“.

„ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, — განაგრძობდა ურიბე, — რომ ჩვენი აგრარული პოლიტიკის წყალობით, ჩვენ შევძელით თავიდან აგვეცილებინა სამოქალაქო ომი რესპუბლიკურ ზურგში“.

ურიბემ არანაკლებ გადაჭრით გაუსვა ხაზი, რომ საიჯარო ქირა ესპანეთში სავსებით გაუქმებულია: ყველა, ვინც კი ახლა გლეხებისაგან მოითხოვს საიჯარო ქირის შეტანას, — სთქვა ურიბემ, — ძარცვა-გლეჯის აქტს სჩადის.

გარდა ამისა, სხდომაზე გამოვიდნენ ესპანეთის კომპარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრი ანტონიო მიხე და გალისიის, კანარის კუნძულებისა და ალიკანტეს წარმომადგენლები.

პლენუმს მიესალმა ფრანგი და ბელგიელი სოციალისტების დელეგაცია.

კანონპროექტი საფრანგეთის „ნაციონალური თავდაცვის სესხის“ გამოშვების შესახებ

პარიზი, 9 მარტი (საქდესი). დღეს დილით ფინანსთა მინისტრმა ვენსან ორიოლმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა კანონპროექტი „ნაციონალური თავდაცვის სესხის“ გამოშვების შესახებ.

დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ უკვე წინათ მოიწონა მთავრობის კანონპროექტი. კომისიამ ამავე დროს უარჰყო შესწორება, რომელიც ლუი მარენმა „რესპუბლიკელთა ფედერაციის“ სახელით შეიტანა კანონპროექტში. ამ შესწორებაში წინადადებას იძლეოდნენ შეექმნათ სპეციალური საპარლამენტო კომისია დეპუტატებისა და სენატორების შემადგენლობით, რათა ამ კომისიას თვალყური ედევნებინა იმისათვის, რომ სესხით მიღებული სახსრები არ გამოეყენებინათ სხვა საჭიროებებისათვის, გარდა ნაციონალური თავდაცვის საჭიროებებისა. „რესპუბლიკელთა ფედერაციამ“ შესწორების მიღება მთავრობის კანონპროექტისათვის თავისი ხმისმიცემის პირობად გამოაცხადა.

◇ ◇ ◇

საფრანგეთის მუშების სამი მოთხოვნა

პარიზი, 9 მარტი (საქდესი). გუშინ საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა ბლიუმმა მიიღო შრომის საყოველთაო კონფედერაციის დელეგაცია ჟუოს ხელმძღვანელობით. დელეგაციამ მთავრობის მეთაურს გადასცა შემდეგი მოთხოვნები: ჯამაგირის გადიდება დაბალი თანამდებობის მოსამსახურეებისათვის, პირველი მაისის აღიარება კანონიერ დღესასწაულად, საერთაშორისო გამოფენის მომსახურე მუშებისათვის სამუშაოს მიცემა მას შემდეგ, როცა გამოფენის მოწყობის სამუშაოები დამთავრდება.

◇ ◇ ◇

ჩინეთის საგარეო პოლიტიკა

შანხაი, 9 მარტი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ნანკინელი კორესპონდენტი იუწყება, გუშინ ნანკინის მთავრობის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ჩუნ-გუიმ პრესის წარმომადგენლებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა ჩინეთის სუვერენულ უფლებათა და ჩინეთის ტერიტორიის განუყოფლობის უზრუნველყოფა. ჩინეთის დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოებთან, — სთქვა ვან ჩუნ-გუიმ, — უნდა ეყრდნობოდეს თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს. შემდეგ ვან ჩუნ-გუიმ განაცხადა, რომ „საერთაშორისო თანამშრომლობა დამოკიდებულია ხალხთა შორის მეგობრობის გრძნობებზე. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა ყოველივე, რასაც კი შეუძლია ვნება მიაყენოს მეგობრობას, გავაქარწყლოთ ან თავიდან ავიცილოთ“. ვან ჩუნ-გუი თავის ინტერვიუში არ შეჩერებულა სხვა სახელმწიფოებთან ჩინეთის ურთიერთობის არცერთ კონკრეტულ საკითხზე.

◇ ◇ ◇

სიკვდილიანობის ზრდა ბერლინში

ბერლინი, 9 მარტი (საქდესი). სულ ახლა გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებენ სიკვდილიანობის სრულიად განსაკუთრებულ ზრდას ბერლინში. სიკვდილის რეგისტრირებულ შემთხვევათა რიცხვი 1936 წლის დეკემბერში შეადგენდა 7.007. ასეთი ციფრი ბერლინს არ უნახავს 1929 წლიდან. შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელი ზაფხულის თვეებში სიკვდილიანობა ბერლინში არ აღემატებოდა 4 ათასს, ზამთრის თვეებში კი ცოტათი სჭარბობდა 5 ათასს.

◇ ◇ ◇

სენატორი ფლეშერი პოლონეთში არსებული პოლიციური რეჟიმის შესახებ

ვარშავა, 9 მარტი (საქდესი). გუშინ სენატის პლენარულ სხდომაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, სიტყვა წარმოსთქვა სენატორმა ქალმა ფლეშერმა. მან პოლონეთში არსებულ რეჟიმს უწოდა პოლიციური რეჟიმი, რომლის დროსაც, მისი სიტყვით, ხელისუფლების დამოკიდებულება მოსახლეობასთან განისაზღვრება მხოლოდ ბრძანებებითა და აკრძალვებით.

ფლეშერმა ხაზი გაუსვა, რომ განსაკუთრებით მკვეთრად გვეცემა თვალში პოლიციის თვითნებობა პრესისა და პროფესიული კავშირების დარგში. როგორც პრესის მიმართ პოლიციის თვითნებობის მაგალითი, გარდა ცენზურის მიერ სტატიების კონფისკაციისა, ფლეშერმა მოიყვანა ხელისუფალთა მიერ პოლონეთის სოციალისტური პარტიის ერთერთი გაზეთის — „ძენიკ პოპულარნის“ დახურვა.

შემდეგ ფლეშერი დაჟინებით მოითხოვდა ბერეზა-კარტუსკის საკონცენტრაციო ბანაკში არსებული მდგომარეობის გამოძიებას. მან განაცხადა, მთელმა რიგმა სენატორებმა და მინისტრებმა ახლობელი დაციო ბანაკში მხეცურად ეპყრობიანო ნათესავი პოლიტპატიმრებისაგან მიიღეს კოლექტიური საჩივარი, რომ პოლიტპატიმრებს ამ საკონცენტრა-

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება პარტიული მუშაობის ფართო პროგრამაა

პარტიის წესდება — პარტიული ცხოვრების ურყევი კანონია

თბილისი. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონ სარემონტო ქარხნის კომუნისტები მესამე დღეა საამქროების პარტიულ კრებებზე იხილავენ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ეს კრებები მიმდინარეობენ დიდი აქტივობით, გაშლილი ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით.

შემკრებ საამქროში პარტჯგუფის კრებაზე პლენუმის გადაწყვეტილებათა წაკითხვის შემდეგ გამოვიდნენ სტახანოველნი ამხ. პაპინაშვილი და გოგაძე.

— სტალინურმა კონსტიტუციამ,— თქვა სტახანოველმა ზეინკალმა, სტალინური გაწვევის ნიშნოსანმა ამხ. გეჯაძემ, — მთელი მსოფლიოსთვის ცხადჰყო ჩვენი სამშობლოს ძლიერება. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი — ახალი გამანადგურებელი ლახვარია ჩვენი მტრებისათვის. დაე იცოდნენ საზიზღარმა გამცემლებმა, ტროცკისტმა არამზადებმა, თვალთმაქცებმა, მემარჯვენე გარეწრებმა, რომ ჩვენი პარტია — ლენინ-სტალინის პარტია ძლიერი და მთლიანია, მტკიცედ შედუღებული და მონოლიტურია. გარდავქმნით რა პარტიულ მუშაობას ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ჩვენ წავალთ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვამ დიდი აქტივობით ჩაიარა ვაგონის — სავაგონო და საქვაბე საამქროებში.

საქვაბე საამქროს კრებაზე გამოვიდნენ ამხ. ხოხაძე, შავაძე, ჯანტილაშვილი, ორდენოსანი სტახანოველი ამხ. გეწაძე და სხვ.

პარტიის წესდების, შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების დამახინჯებებს ადგილი ჰქონდა ჩვენს, საქარხნო პარტორგანიზაციაშიაც — ამბობს პარტკომის მდივანი ამხ. ტატანაშვილი. 8 თვის განმავლობაში პარტკომის მდივნად იყო ტროცკისტი-თვალთმაქცი გაბრიაძე, რომელმაც მთელი მუშაობა ჩაშალა. პარტიული საქმეები ქაოსურ მდგომარეობაში იყო; არ ეწეოდნენ მასობრივ-აღმზრდელობით მუშაობას პარტიის წევრებთან და კანდიდატებთან. გაბრიაძის გაძევების შემდეგ პარტიულ კაბინეტში აღმოჩნდა პარტკომის 1933 წლის შეხვეული ოქმები, იქვე იყო გაზეთის ქაღალდში გახვეული ძველი ნიმუშის 11 პარტიული ბილეთი და 4 სააღრიცხვო ბარათი. პარტკომის შკაფში ეგდო ძველი ნიმუშის 33 სააღრიცხვო ბარათი პარტიის წევრებსა და კანდიდატებზე.

— საამქროების პარტიული კრებები და პარტკომი ხშირად სცვლიდნენ — საქარხნო პარტიულ კრებებს, — ამბობს ამხ. როსტიაშვილი. ადგილი ჰქონდა ასეთ პრაქტიკასაც: საამქროს პარტიულ კრებას გამოაქვს გადაწყვეტილება კომუნისტის დასჯის შესახებ, პარტკომი ამას ამტკიცებს საერთო-საქარხნო პარტიულ კრებაზე განუხილველად. პარტიიდან ასე გარიცხულ იქნენ საერთო-საქარხნო პარტიული კრების გადაწყვეტილების გარეშე მამაგეიშვილი და კუკიჯანოვი. ახლა რაიკომმა მათი საქმეები დააბრუნა და პარტიიდან მათი გარიცხვის საკითხი განხილული იქნება საერთო-საქარხნო პარტიულ კრებაზე. იყო ასეთი შემთხვევებიც: ერთერთი პარტორგი ამხ. ფილიევი პარტაქტივის საზაფხულო კურსებზე მივლინებულ იქნა სურამში. გამგზავრებისას მან დაავალა პარტიის წევრს ამხ. ასლიბეკოვს შეეცვალა იგი და დაუტოვა მას პარტჯგუფის საქმეები. ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევებსაც: საამქროების პარტიული ორგანიზაციები პარტკომს გადასცემდნენ ხოლმე პარტიული კრებების ოქმების დედნებს ისე, რომ თვითონ ასლებს არ იტოვებდნენ. ამრიგად პარტჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ქაღალდზე რჩებოდნენ, მათს შესრულებას თვალყურს არავინ არ ადევნებდა.

— შინაპარტიული დემოკრატია. — ამბობს ორდენოსანი ამხ. გეწაძე, — აძლიერებს არჩეულის პასუხისმგებლობას ამომრჩევლების წინაშე. ჩვენ მტკიცედ უნდა დავიცვათ ეს პრინციპი და გავაძლიეროთ შემტევი ბოლშევიკური სიფხიზლე.

ქარხნის კომუნისტები და არაპარტიული მუშები ერთსულოვნად იწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებას პარტიის რიგებიდან საზიზღარი თვალთმაქცების — ბუხარინისა და რიკოვის გარიცხვის შესახებ. (საქდესი)



პროპაგანდისტი ამხ. კეკელიძე თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნის მუშებს უკითხავს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებას

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

პარტიული მუშაობის გაუმჯობესების მძლავრი ბერკეტი

ქუთაისი, 10 მარტი (საქდესი). საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების გამო მხურვალედ შეხვდნენ პარტიის წევრთა ფართო მასები. კომუნისტები აქტიურად იხილავენ ამ გადაწყვეტილებას, ერთსულოვნად იწონებენ მას და აღნიშნავენ, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი ასახავენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, ჩვენი პარტიის ძლიერებას.

აბრეშუმის კომბინატში პლენუმის რეზოლუციის განხილვისას სტახანოველმა ქალმა ქსენია ჩიხლაძემ განაცხადა:

— საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება მძლავრი ბერკეტი იქნება პარტიული მუშაობის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის, იგი ხელს შეგვიწყობს სწრაფად აღმოვფხვრათ შინაპარტიული დემოკრატიის ყოველგვარი დარღვევა, კიდევ უფრო გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა.

თვითეული კომუნისტის მოვალეობას შეადგენს, — ამბობს სტახანოველი იური გოგიაშვილი,— ღრმად შეისწავლოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ენერგიულად იმუშაოს თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, იყოს ფხიზელი, სამშობლოსა და პარტიის მტრებისადმი შეურიგებელი.

აბრეშუმის კომბინატის კომუნისტები აცხადებენ, რომ სპეციალურ ჯგუფებში ისინი კიდევ უფრო ღრმად შეისწავლიან ამხანაგ სტალინის მოხსენებას საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე, სტალინურ კონსტიტუციას და ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას.

მაუდის ფაბრიკაში აგიტატორებმა პარტიის წევრებს გააცნეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და „პრავდის" მოწინავე „თვითკრიტიკისა და მასებთან კავშირის ნიშნით".

სტახანოველი ვარლამ იმედაძე ამბობს:

— ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ პარტიულ ორგანიზაციებს მაღალ საფეხურზე აიყვანონ პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა, ისინი მოახდენენ მთელი პარტიული მასის აქტივიზაციას, მოეღება ბოლო პარტიის წესდების უხეშად დარღვევას.

სტახანოველები ივანე ზაქარიაძე და იაკობ ქილარჯიანი ამბობენ:

— ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი გვავალებენ ჩვენ დაუღალავად ვიმუშაოთ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, არჩევნების დროს ფარული კენჭისყრა გააძლიერებს როგორც პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ისე ყველა წევრის პასუხისმგებლობის გრძნობას.

ქუთაისის კომუნისტები საყოველთაოდ იწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ანტიპარტიული მუშაობისათვის საკ. კ.პ. (ბ) რიგებიდან გარიცხულია თვალთმაქცი ბუხარინი და რიკოვი.

თბილისის მაუდის ფაბრიკაში

მაუდის ფაბრიკაში უკვე რამდენიმე დღეა სწარმოებს განხილვა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებისა ამხ. ჟდანოვის მოხსენების გამო. პარტიულ ჯგუფებში ტარდება რეზოლუციის წაკითხვა და განხილვა. გადაწყვეტილების განხილვის პერიოდისათვის ფაბრიკის პარტკომმა გამოჰყო 35 საუკეთესო აგიტატორი.

პარტიის წევრები და კანდიდატები ერთსულოვნად იწონებენ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას და ბოლშევიკურად ააშკარავებენ შინაპარტიული დემოკრატიის და წესდების დარღვევის ფაქტებს. ხოლო ასეთი ფაქტები ფაბრიკაში ცოტა როდია. მაგალითად, პარტკომის მდივნად აქ 4 თვეს მუშაობდა ამხ. კირეულიშვილი, რომელიც არ ყოფილა არჩეული პარტკომის შემადგენლობაში საერთო პარტიულ კრებაზე. გასული წლის პირველი 9 თვის განმავლობაში პატკრებას არ დაუმტკიცებია პარტკომის არცერთი გადაწყვეტილება. სულ ამ ცოტა ხნის წინათ პარტიაში კანდიდატის გადაყვანის საკითხი განხილულ იქნა პარტორგანიზაციის წევრთა უმცირესობის თანდასწრებით. ეს გადაწყვეტილება, როგორც მოსალოდნელი იყო, რაიკომმა გააუქმა.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, — განაცხადა ჯგუფურ პარტკრებაზე ამხ. ვ. ცაკურიშვილმა,—პარტორგანიზაციის მუშაობის ფართო პროგრამას წარმოადგენს. ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლა, პარტიული მასების აქტივობის ამაღლება — აი ყოველი კომუნისტის უახლოესი საბრძოლო ამოცანა.

მაუდის ფაბრიკის კომუნისტები კმაყოფილებით აღნიშნავენ თვალთმაქცების ბუხარინისა და რიკოვის გარიცხვას პარტიის რიგებიდან ანტიპარტიული მუშაობისათვის. (საქდესი).

ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკაში

7 მარტს თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის პარტიული განათლების ყველა წრეში ჩატარდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციის წაკითხვა. 8,9 და 10 მარტს პლენუმის გადაწყვეტილება განხილულ იქნა საამქროებში კომუნისტთა ჯგუფურ კრებებზე. ეს კრებები ფართო ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით ტარდება.

კრებებზე გამოსული ამხ. მარტიროსოვი, ანისონიანი და სხვ. აღნიშნავდნენ ფაბრიკის პარტორგანიზაციის მუშაობაში არსებულ მთელ რიგ დეფექტებს. მაგალითად, ფაბრიკაში პარტორგები ერთხელაც არ გამოსულან პარტიულ კრებებზე საანგარიშო მოხსენებით თავიანთი მუშაობის შესახებ.

ფაბრიკის საამქროებში საკმაოდ მოიპოვებიან ჩამორჩენილი კომუნისტები. პარტორგები არ ზრუნავენ მათი იდეური დონის ამაღლებაზე. სუსტად სწავლობენ ისინი პარტიის თვითეულ წევრს. ამის გამო დიდის დაგვიანებით იქნა გამომჟღავნებული თვალთმაქცი ტროცკისტი ა. ფ. ორკისი.

ფაბრიკაში არც თვითკრიტიკის მხრივ არის კარგი მდგომარეობა კედლის გაზეთმა არაერთხელ ამხილა სამონტაჟო საამქროს ყოფილი უფროსი ხარაზიანი, რომელიც სტახანოვურ მოძრაობას ახშობდა. პარტორგანიზაციის ხელშეწყობის მეოხებით ხარაზიანმა მიაღწია იმას, რომ კედლის გაზეთის რედაქტორობიდან მოხსნეს სტახანოველი უსულდანაშვილი. მხოლოდ ახლა მოხსნეს სამუშაოდან სტახანოვური მოძრაობის ეს მესაბოტაჟე და თვითკრიტიკის ჩამხშობი.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, — ამბობს პარტკომის მდივანი ამხ. ჩერნიკოვი, — ახალ, მაღალ საფეხურზე აჰყავს პარტიის თვითეული წევრის სიფხიზლე. იგი განამტკიცებს ბოლშევიკურ თვითკრიტიკას და ხელს შეუწყობს ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას იმ მხრივ, რომ აღმოფხვრას პარტიულ მუშაობაში არსებული ყოველგვარი ნაკლი (საქდესი).

პოლკოვნიკი ლ. გარსიაშვილი

სამოქალაქო ომი ესპანეთში

(თებერვლის ბრძოლები)

თებერვლის განმავლობაში ესპანეთში მოხდა ორი ღირსშესანიშნავი შემთხვევა — ქ. მალაგის აღება მეამბოხეთა მიერ და ბრძოლები მადრიდის სამხრეთ - აღმოსავლეთით, მდ. ხარამის ხეობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა მეამბოხეთა სარდლობამ, როგორც ეტყობა, ერთგვარად შესცვალა თავისი ოპერატიული გეგმა, მაგრამ მაინც ოპერაციის ობიექტი ისევ მადრიდი დარჩა. ჯერჯერობით ამ მთავარ მიზანს ემორჩილება ორივე მებრძოლი მხარის ყველა ღონისძიება.

მალაგის აღების ოპერატიული მიზანიც სხვათა შორის, იმაში გამოიხატებოდა, რომ ერთის მხრივ მოეწყვიტათ და დაექსაქსნათ მადრიდის დამცველთა ძალა და ყურადღება, ხოლო მეორე მხრივ, თუ საქმე კარგად წაუვიდოდათ, გაერღვიათ სამხრეთის ფრონტი და კასტილიით გზა გაეკაფნათ მადრიდის სამხრეთით შემოვლისა და შეტევისათვის. თუმცა მალაგის აღებით მეამბოხეებმა ერთგვარი ეფექტი მოახდინეს ზოგიერთ წრეებში, მაგრამ მაინც დასახულ ოპერატიულ მიზანს ვერ მიაღწიეს. ჯერ-ერთი, მალაგის აღებით რესპუბლიკელთა ფრონტი შემოკლდა დახლოვებით 100 კილომეტრით და მაშასადამე, ძალების ნაწილი განთავისუფლდა, მეორე მხრივ, არის იმის ნიშნები, რომ რესპუბლიკელებმა ნაწილი სამხრეთის ფრონტის ძალებისა გადაიყვანეს მადრიდის უშუალოდ დაცვისათვის. თვით სამხრეთის ფრონტზე ისე გამოკეთდა საქმე, რომ ერთხანს რესპუბლიკელები თვით ქ. კორდოვას და გრენადას ემუქრებოდნენ.

უფრო მრისხანე და რესპუბლიკელებისათვის საშიში ხასიათი მიიღო მეამბოხეთა შეტევამ მადრიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ხარამის ხეობაში.

საქმე ის არის, რომ მადრიდის ფრონტი და თვით ქ. მადრიდი დაკავშირებულია სიღრმეში ზურგთან (ვალენსია) მხოლოდ ორი საავტომობილო გზით. საუკეთესო გზა მადრიდიდან ვალენსიისაკენ გადის არგანდითა და ტარანკონით (300-320 კლმ). მეორე კი იმავე მიმართულებით გვადალახარითა და კუენკათი (380-400 კლმ.). არის კიდევ რამდენიმე სასოფლო გზა, მაგრამ მათი ოპერატიული მნიშვნელობა მეტად მცირეა, რადგანაც საავტომობილო მიმოსვლისათვის ეს გზები გამოუსადეგარია ან მოითხოვს დიდ შეკეთებას, ე. ი. დროს და ძალას.

როგორც ვიცით, ფაშისტები ჯერ ერთის დაკვრით ორიოდე დღეში ლამობდნენ მადრიდის აღებას. შემდეგ დეკემბერში და იანვრის პირველ ნახევარში შეეცადნენ მადრიდის ჩრდილოეთით შემოვლას და ამრიგად უშუალოდ მადრიდის აღებას. როცა დარწმუნდნენ, რომ მადრიდის უშუალოდ აღება მათ არ ძალუძთ, როგორც ჩანს, თებერვლის პირველ რიცხვებში დაისახეს სხვა ოპერატიული მიზანი: უფრო ფართო ოპერატიული შემოვლით გადაუჭრან გზები მადრიდის დამცველებს მათი მკვებავი ზურგისაგან (ვალენსია) და ამით მოუსპონ ხანგრძლივი წინააღმდეგობის საშუალება. რომ შეტევა მოულოდნელი ყოფილიყო რესპუბლიკელებისათვის, მთავარ მიმართულებაზე შეტევის წინ გაცხოველდა ბრძოლები მადრიდის დასავლეთით და დაიწყო შეტევა ჩრდილოეთით — სიგუენსის სამხრეთ-დასავლეთით. უკანასკნელ შეტევას თავისი ოპერატიული მიზანიც ჰქონდა. ამ შეტევით ფაშისტებს სურდათ გადაეჭრათ გზა მადრიდი — გვადალახარა — კუენკა — ვალენსია.

მთავარი მიმართულებით პინტო — ვალდემოროს რაიონიდან (20—30 კლმ. მადრიდის სამხრეთით) ფაშისტებმა შეტევა დაიწყეს 6 თებერვალს, მეამბოხეთა ჯარი გაიყო სამ რაზმეულად (თითო რაზმეულში 3000 ჯარისკაცი იყო და მათ ეხმარებოდა ტანკების არანაკლებ ერთი ათასეულისა და 50—60 ქვემეხი) და მოულოდნელად შეუტია სამი მიმართულებით: მარანოსას, სან მარტინ დე ლავეგას და სიემ-პოსუელოს მიმართულებით. შეტევა იმდენად მოულოდნელი და ძლიერი იყო, რომ რესპუბლიკელები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ თითქმის მთელ ფრონტზე. 11 თებერვალს მეამბოხეებმა დაიკავეს ხიდი მდ. ხარამაზე—პინტოკე, 12 თებერვალს ამავე მდინარეზე გადასასვლელი სან მარტინ დე ლა-ვეგასიან და 13 თებერვალს შეუტიეს არგანდა,—მორატას მიმართულებით, ე. ი. უშუალოდ ემუქრებოდნენ რესპუბლიკელების მთავარ კომუნიკაციას —მადრიდი-არგანდა-ვალენსია. 14 თებერვალს მეამბოხეებს მდ. ხარამის აღმოსავლეთ ნაპირზე უკვე 20 ათასამდე ჯარი ჰყავდათ, რადგანაც ამ დროისათვის მათ გერმანელი და იტალიელი ფაშისტების ჯარი მოაშველეს, მაგრამ რესპუბლიკელებმა, როგორც ჩანს, დროზე შეუტყეს ფაშისტებს ოპერატიული გეგმის მთავარი მიზანი და დროულად მიაშველეს მდ. ხარამაზე მებრძოლთ ჯარი. 14 თებერვლისათვის ისეთი მედგარი წინააღმდეგობა გაუწია რესპუბლიკელთა ჯარმა ფაშისტებს, რომ შესამჩნევად შეასუსტა ისინი და 15 თებერვალს მათ შეტევა აღარ გაუმეორებიათ. უცხოეთის პრესის ცნობით. 14 თებერვალს მაროკოელთა ნაწილებმა დაჰკარგეს თავისი შემადგენლობის 40—50 პროცენტი. 16 თებერვალს უმნიშვნელო ბრძოლები იყო. 17 თებერვალს ბრძოლის ინიციატივა რესპუბლიკელთა ხელში გადავიდა. მძლავრი იერიშით მათ აიძულეს ფაშისტები უკან დაეხიათ და ამ დღის ბოლოს რესპუბლიკელებმა დაიკავეს მარანოსა. 18—21 თებერვალს გრძელდება რესპუბლიკელების შეტევა და მათ უკვე დაიკავეს გადასავალი მდ. ხარამისა სან მარტინ დე ლა-ვეგასთან. ეს უკვე შესამჩნევი გამარჯვება იყო რესპუბლიკელებისა, რადგანაც ეს გარემოება იმდენად საშიშარ მდგომარეობაში აყენებდა მდ. ხარამის აღმოსავლეთით მომქმედ ფაშისტების მარჯვენა ფრთას, რომ მათ ან უნდა უკუეგდოთ რესპუბლიკელები ამ მხრით, ან არა და უკან დაეხიათ. მართლაც, ფაშისტები შეეცადნენ წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ, ვინაიდან ვერ შეიკავეს 22 და 23 თებერვლის რესპუბლიკელთა შეტევა, იძულებული გახდნენ 2—3 კილომეტრით უკან დაეხიათ. 23 თებერვალს რესპუბლიკელებმა დაიკავეს მაღლობი პინგარონი და ამან უფრო აიძულა ფაშისტები უკან დაეხიათ. 25 თებერვალს ფაშისტები კიდევ შეეცადნენ პინგარონის უკან დაბრუნებას. მაგრამ რესპუბლიკელების კონტრიერიშმა უკუაგდო ისინი. ამის შემდეგ მეამბოხეებს ფართო შეტევის ინიციატივა აღარ გამოუჩენიათ.



ამრიგად, თუმცა ფაშისტებმა წინ წაიწიეს 6—25 თებერვლის ბრძოლების შედეგად 10—12 კილომეტრით, მაგრამ ისე ვიწრო ფრონტზე, რომ სოლისებურად შეიჭრნენ და თავისი ორივე ფრთა ამ ფრონტზე საშიშ მდგომარეობაში ჩააყენეს. უეჭველია, უახლოეს ხანში უნდა ველოდოთ ან ამ ფრონტის გაფართოვებას მეამბოხეების მხრით, რაც მეტად საეჭვოა, ან არა და ამ სოლის მოჭრას რესპუბლიკელების მხრით, რაც უფრო მოსალოდნელია, რადგანაც ჯერჯერობით ინიციატივას ამ ფრონტზე რესპუბლიკელები უფრო მეტს იჩენენ, ვიდრე ფაშისტები. ხოლო რაც უმთავრესია, ფაშისტებმა ვერ შესძლეს მთავარი ოპერატიული მიზნის მიღწევა, ე. ი. მადრიდისათვის ვალენსიის გზის გადაჭრა.

მაინც მდ. ხარამის ხეობაში წარმოებული ბრძოლები მრავალმხრივ საინტერესოა. უპირველეს ყოვლისა რესპუბლიკელებმა დაამტკიცეს, რომ მათ მედგარი წინააღმდეგობის გაწევის გარდა შეტევაზე გადასვლის უნარიც შესწევთ. ეს უკანასკნელი კი ნიშანია რესპუბლიკელების მოღონიერებისა, რადგანაც შეტევა მოითხოვს უფრო მეტ ძალას და გამოცდილებას, ვიდრე მოგერიება. თუმცა ფართო ოპერატიული ინიციატივა ჯერ კიდევ მეამბოხეთა ხელშია, მაგრამ უკვე არის იმის ნიშნები, რომ ფართო ოპერატიული ინიციატივისთვისაც თანდათან ემზადება რესპუბლიკელების შეიარაღებული ძალა. უეჭველია, თებერვალშივე რობლედოს (ესკორიალთან) დაკავება და ტოლედო-ტალავერის ფრონტზე შეტევაზე გადასვლა ამის მომასწავებელია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამნაირად ახლა უკვე რესპუბლიკელები ემუქრებიან ფაშისტების კომუნიკაციას, თუმცა ამგვარ შეტევას რესპუბლიკელების მხრივ ჯერ ფართო და მძლავრი ხასიათი არ მიუღია, მაგრამ რესპუბლიკელთა ძალების ზრდის ისეთი ნიშნები გვაქვს, რომ, ცხადია, ამის მოწმენიც მალე ვიქნებით.

სხვა ფრონტებზე აღსანიშნავია გვადალახარასთან ბრძოლა, რომლის ინიციატივა რესპუბლიკელების ხელშია და რომელიც რესპუბლიკელებისათვის წარმატებით მიმდინარეობს.

უკანასკნელ დღეებში, როგორც ჩანს, ორივე მხარე თავისი ძალების მოწყობა-მოწესრიგებას შეუდგა და ემზადება მომავალი ბრძოლებისათვის, ხოლო ღირსშესანიშნავი ჯერჯერობით არა მომხდარა რა.

◆

ჭიათურის რაიონი ემზადება უხვი მოსავლისათვის

რამდენიმე დღის წინათ ჭიათურაში შესდგა მოწინავე კოლმეურნეთა რაიონული შეკრება, რომელმაც განიხილა 1937 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმები და შეამოწმა თესვისათვის მზადყოფნა.

მისასალმებელ წერილში შეკრებამ პირობა მისცა ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკთა გამობრძმედილ ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას, რომ ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობები წარმატებით ჩაატარებენ საგაზაფხულო თესვის კამპანიას, აგროწესების მტკიცედ დაცვით უზრუნველჰყოფენ საგაზაფხულო კულტურების დათესვას სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 22.050-ის ნაცვლად 22.970 ჰექტარზე.

შეკრებამ იკისრა მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაშენდეს ვენახები გეგმით გათვალისწინებული 20-ის ნაცვლად 35 ჰექტარი, ხეხილის ბაღი — 50 ჰექტარი და იაპონური ხურმა 3 ჰექტარი. გარდა ამისა, რაიონში გაშენდება სუბტროპიკული ხეხილის სანერგე ერთ ჰექტარზე და დაფნის პლანტაცია 2-ზე, მოეწყობა საცდელი ნაკვეთები ლუფისა და არახისის კულტურებისათვის.

წელს აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხარისხოვანი სათესლე მასალის შერჩევას. გადაწყვეტილია დაითესოს აჯამეთის თეთრი ჯიშის სიმინდის თესლი 2.000 ჰექტარზე, იმერული ჰიბრიდისა — 740-ზე, ხოლო ადგილობრივი „კაჟოვანისა" — 8000-ზე. კოლმეურნეობებში გამოყოფილი იქნება სათესლე ნაკვეთები, რომელთა მოსავალმა 1938 წელს მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს [illegible] ნილება ჯიშიან თესლზე. [illegible] დაითესება 150 ჰექტარის ნაცვლად 500 ჰექტარი.

ჭიათურის რაიონის მოწინავე კოლმეურნეთა შეკრებამ ვალდებულება აიღო მარცვლეულ კულტურათა საშუალო მოსავალი ჰექტარზე გადიდებულ იქნას 11 ცენტნერამდე, ნაცვლად სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 10,5 ცენტნერისა.

— ჩვენი გული — ნათქვამია შეკრების მიერ ამხ. ლ. ბერიასადმი გაგზავნილ კოლექტიურ წერილში — უდიდესი ზიზღით არის აღვსილი ტროცკისტ-ზინოვიეველების — ამ გაცოფებული ძაღლების, ფაშისტური გერმანიის საიდუმლო პოლიციის აგენტების მიმართ, რომელთაც უნდოდათ ჩვენი დიადი ქვეყნის გაყიდვა, საბჭოთა კავშირის ბედნიერ მშრომელთა მოქცევა კაპიტალისტური კაბალის ქვეშ.

— ჩვენ ერთსულოვნად მოვითხოვთ — სასტიკად დასჯილ იქნან ბებერი, შხამიანი გველის, ტროცკის საზიზღარი წიწილები ბ. მდივანი, მ. ტოროშელიძე, პ. აღნიაშვილი, შ. ოკუჯავა, ბ. კვირკველია, ჯიქია, ქ. მოდებაძე და სხვ., რომლებსაც უნდოდათ საქართველოს ბედნიერ მშრომელთა აწიოკება და განზრახული ჰქონდათ საქართველოს მშრომელთა საამაყო შვილის ამხ. ლ. ბერიას მიმართ ტერორისტული აქტის განხორციელება.

საგაზაფხულო თესვის მაღალხარისხოვნად ჩატარება, მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლა — აი რით უპასუხებენ ჭიათურის რაიონის კოლმეურნენი კლასობრივი მტრების მავნებლურ მოქმედებას.

◆

25 წლისთავი გ. ი. სედოვის ექსპედიციისა ჩრდილოეთის პოლუსზე

მოსკოვი, 8 მარტი (საქდესი). 9 მარტს შესრულდა 25 წელი მას შემდეგ, რაც ლეიტენანტმა გიორგი იაკობის-ძე სედოვმა დაიწყო ჩრდილოეთ პოლუსის ექსპედიციის მოწყობა. 1912 წლის ამ დღეს გ. ი. სედოვმა მთავარი ჰიდროგრაფიული სამმართველოს უფროსს მისცა პატაკი თხოვნით, გაეშვას იგი სამსახურიდან ექსპედიციის მოსამზადებლად.

ექსპედიციის ორგანიზატორებს მეფის მთავრობისაგან სახსრების მიღების ცოტა იმედი ჰქონდათ. იძულებული გახდნენ დაეწყოთ კერძო შემოწირულებათა შეგროვება ექსპედიციის მოსაწყობად. მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. საჭირო იყო 100-150 ათასი მანეთის შეგროვება.

სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ იქნა წინადადება, გაეღოთ სახელმწიფო ხაზინის სახსრებიდან 50 ათასი მანეთი „ლეიტენანტ სედოვის მიერ განზრახულ ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის ხელშესაწყობად". მაგრამ მინისტრთა საბჭომ ფულის გაცემაზე უარი სთქვა. მართალია, შემდეგ მეფის მთავრობამ „გახსნა ქისა" და ექსპედიციის მოსაწყობად გაიღო... „უმაღლესად ბოძებული დახმარება" 10 ათასი მანეთი.

ექსპედიციისადმი არაკეთილსასურველი დამოკიდებულება სახელმწიფო ორგანოების, სამხედრო-საზღვაო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა მხრივ აიხსნება იმით, რომ სედოვს უცქეროდნენ როგორც „მეტიჩარას": იგი იყო შვილი ღარიბი მებადურისა, რომელიც ცხოვრობდა ხუტორ „კრივაია კოსაში" აზოვის ზღვის პირად. ამ მხრივ დამახასიათებელია მთავარი ჰიდროგრაფიული სამმართველოს უფროსის წერილი გენერალური საზღვაო შტაბისადმი სედოვის საძებნელად მაშველი ექსპედიციის მოსაწყობად მიღებულ ღონისძიებათა შესახებ. აი ერთი ადგილი ამ დოკუმენტიდან:

„დასასრულ მოვალეობად ვთვლი ვთქვა, რომ ჩვენი საზღვაო ოფიცრებთან ურთიერთობიდან არ შემეძლო არ დამენახა, რამდენად არაპოპულარულია, მეტი რომ არა ვთქვა, სედოვი მათ შორის, და მე ძალიან ვეჭვობ, მოინახოს რუსი საზღვაო ოფიცერი, რომელიც თავისი ნებით გაემართება სედოვის საძებნელად".

საკმარისია შევადაროთ ამას „ჩელუსკინის" ეპოპეა. პარტიამ და მთავრობამ გემის ავარიის შემდეგ დაუყოვნებლივ ფართოდ გაშალეს მაშველი ოპერაციები. ბევრი გამოსთქვამდა სურვილს გაეწია სამსახური ჩელუსკინელთა გადასარჩენად. საბჭოთა არქტიკული ექსპედიციების მონაწილენი გარემოსილი არიან მზრუნველობით იმ ადამიანებზე, რომლებიც იპყრობენ არქტიკას, რაც არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მეფის მემამულურ-ბურჟუაზიულ რუსეთში.

სედოვის ექსპედიციას ჩაშლის საფრთხე ემუქრებოდა. მხოლოდ გაზეთ „ნოვოე ვრემიას" გამომცემლის — სუვორინის სურვილით, რომელმაც გადაწყვიტა ლაშქრობა გამოეყენებინა ნაციონალისტური წამოძახილებისა და იაფი, მაგრამ ხელსაყრელი საგაზეთო ხმაურისათვის, ექსპედიციას გაუხსნეს კრედიტი. სედოვს მოუხდა ნაუცბადევად მომზადებულიყო პასუხსაგები ლაშქრობისათვის. ლაშქრობის ბევრი მონაწილე ექსპედიციის შემადგენლობაში მიღებული იქნა ერთი საათით ადრე გემ „წმ. ფოკას" წასვლამდე, რომლითაც განზრახული იყო ფრანც-იოსების მიწამდე მისვლა. უფროსი მექანიკოსი ზანდერი გამოცხადდა მხოლოდ პიჯაკში, მას არავითარი ბარგი არ ჰქონდა.

გ. ი. სედოვის გარდა ექსპედიციაში შედიოდნენ: გეოგრაფი ვ. ი. ვიზე, გეოლოგი მ. ა. პავლოვი, მხატვარი ნ. ვ. პინეგინი, ვეტერინარი ექიმი — კუშაკოვი და გემის კომანდის 10 კაცი.

ექსპედიცია გემ „წმ. ფოკათი" არხანგელსკიდან გავიდა 1912 წ. 27 აგვისტოს. განზრახული იყო, რომ გემი ფრანც-იოსების მიწას მიაღწევდა, იქ გადმოსხამდა ექსპედიციას და იმავე დღეს დაბრუნდებოდა უკან. ეს არ მოხერხდა. ბარენცის ზღვაში ექსპედიცია წააწყდა უზარმაზარ ყინულებს. აუცილებელი გახდა დაზამთრება ახალი მიწის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირებთან, პანკრატიევის ნახევარკუნძულის მახლობლად.

ახალ მიწაზე ყოფნა ექსპედიციამ გამოიყენა კუნძულის ჩრდილო ნაწილის შესასწავლად. გ. ი. სედოვმა დეტალურად აღწერა და გადაიღო ახლობელი და ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს კუნძულები, ფლისინგის კონცხამდე. ვ. ი. ვიზემ და გეოლოგმა მ. ა. პავლოვმა, კუნძულის შინაგანი ნაწილის შესასწავლად, პირველად გადასჭრეს ახალი მიწა ყინულოვანი გარსით ჩრდილოეთიდან კარის მიწისაკენ. სედოვის ექსპედიციამ ახალ მიწაზე ჩაატარა მთელი რიგი სხვადასხვა სამუშაოები გეოლოგიის, მეტეოროლოგიის, ჰიდროლოგიისა და სხვ. დარგში.

1913 წლის სექტემბრის დასაწყისს „წმ. ფოკა" განთავისუფლდა ყინულებისაგან და აიღო კურსი ფრანც-იოსების მიწისაკენ. არქიპელაგის ჩრდილო ნაწილში შესვლის უშედეგო ცდების შემდეგ ექსპედიცია გაჩერდა მეორეჯერ დასაზამთრებლად გუკერის კუნძულთან ტიხაიას ბუხტაში.

მეორე დაზამთრება წარმოუდგენლად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. მოარულ ცინგას გადაურჩა მხოლოდ რამდენიმე კაცი, რომელთაც თავიდანვე უარი სთქვეს ექსპედიციის ძირითად საჭმელზე — ცამარილებულ ხორცზე და არ ეზიზღებოდათ არც ლომთევზის ხორცის და არც დავარდნილი ძაღლების ხორცის ჭამა. ცინგისაგან გარდაიცვალა მექანიკოსი ზანდერი. ცინგით დაავადდა თვითონ სედოვიც.

მიუხედავად ავადმყოფობისა, სედოვი, გატაცებული თავის იდეით — მიეღწია ჩრდილოეთის პოლუსისათვის და იქ აღემართა რუსეთის დროშა — 1914 წლის 15 თებერვალს გაემგზავრება ჩრდილოეთისაკენ სამი ნარტით და 24 ძაღლით და თან გაჰყავს მატროსებს — ლინიკს და პუსტოშნის. ელისაბედის კუნძულის მახლობლად იგი ჰკარგავს ძაღლებს. საკუთარი ბრძანებით ნარტებზე მიბმული, მომაკვდავი, განაგრძობდა გზას. 5 მარტს კარლის, ალექსანდრეს და რუდოლფის კუნძულებს შორის სედოვი გარდაიცვალა და იგი მისმა თანამგზავრებმა დაკრძალეს. ჰფიქრობენ, რომ სედოვის სამარე ბროროკის კონცხთან არის. მაგრამ სედოვის საფლავის ძებნა, რასაც აწარმოებდა ექსპედიცია ყინულმჭრელ „გ. სედოვით" 1929 წელს, წარმატებით ვერ დაგვირგვინდა.

სედოვის ექსპედიციის მონაწილეებმა — ვიზემ, პავლოვმა და პინეგინმა — გადაიღეს ფრანც-იოსების მიწის ზოგიერთი კუნძულის სანაპირო ხაზი, მოახდინეს გეოლოგიური და ჰიდროლოგიური გამოკვლევანი, მეტეოროლოგიური დაკვირვებანი და დაკვირვებანი ყინულის მოძრაობაზე.

1914 წ. 30 ივლისს სედოვის ექსპედიციამ დასტოვა ტიხაიას ბუხტი და სამხრეთისაკენ გაემართა. ქვანახშირის უქონლობის გამო ექსპედიციის მონაწილენი ღუმელებში სწვავდნენ მოკლული ძაღლთევზების და ლომთევზების ქონს და გემის ნაწილებსა და ავეჯსაც კი. 21 აგვისტოს გემი გამოვიდა უყინულო წყალზე, მიაღწია რინდის ბანაკს მურმანის სანაპიროზე და მერე არხანგელსკისაკენ გაემართა.

ექსპედიციის დაბრუნებისადმი თითქმის არავის არ მიუქცევია ყურადღება, მხოლოდ მაშინდელმა საზღვაო მინისტრმა გრიგოროვიჩმა, რომელიც უკმაყოფილო იყო იმით, რომ სედოვმა გადააცილა შვებულების ვადას, განაცხადა: „საწუხაროა, რომ არ დაბრუნდა ეს არამზადა, მე მას სამართალში მივცემდიო".

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა „წმ. ფოკას" კომანდა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. მეფის მთავრობისათვის გაგზავნილ დეპეშაში მატროსები სწერდნენ:

„ჩვენ ვბრუნდებოდით მოქანცული, დასვენებას მოწყურებულნი. ფრანც-იოსების მიწაზე, სედოვს გარდა, დაიღუპა ზანდერი. დანარჩენები თითქმის ყველანი ავად ვიყავით. ორი საავადმყოფოში წევს. დასვენების ნაცვლად სამშობლოში მწარე იმედგაცრუება გველოდა, ჩვენ უპატრონოდ დაგვყარეს".

არავითარი დახმარება არ აღმოუჩინეს არც მატროსებს, არც ექსპედიციის მონაწილეთა გაჭირვებულ ოჯახებს.

ექსპედიციის სამეცნიერო მასალა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დამუშავდა და გამოქვეყნდა. გ. ი. სედოვის ექსპედიცია სათანადოდ შეაფასა მხოლოდ ჩვენმა, სოციალისტურმა სამშობლომ. მამაცი პოლარული მკვლევარის პატივსაცემად საბჭოთა ფლოტის ერთერთ გემს — ყინულისმჭრელს ეწოდა „გ. სედოვი". იქ, სადაც სედოვმა გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები — ტიხაიას ბუხტაში — 1929 წელს აგებულ იქნა მუდმივი სამეცნიერო-კვლევითი ბაზა, რომელიც იშვიათი ენერგიით, სიმამაცითა და განსაკუთრებული გამბედაობით აღჭურვილ ადამიანის — გიორგი იაკობის-ძე სედოვის საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს.

◆

მე-2 ხუთწლედის სესხის პირველი ტირაჟი შესდგება 25 მაისს

მოსკოვი, 9 მარტი (საქდესი). 1937 წ. 25 მაისს მოსკოვში შესდგება მე-2 ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) პირველი ტირაჟი.

ამ სესხის ობლიგაციები, დაგირავებული შემნახველ სალაროებში, ტირაჟში მონაწილეობას არ მიიღებენ. ტირაჟში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სესხმქონემ უნდა დაფაროს შემნახველ სალაროდან გატანილი სესხი და მიიღოს ხელზე თავისი ობლიგაციები.

ობლიგაციები სესხის ახალი ხელმოწერის მიხედვით მუშებსა და მოსამსახურეებს დაურიგდებათ აპრილის მეორე ნახევრის ხელფასის გაცემისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სავაგონო საამქროს აქტიური კომკავშირელი ამხ. გუბელაშვილი სტახანოვური მუშაობისათვის რამდენჯერმე დააჯილდოვეს. სურათზე: ამხ. გუბელაშვილი ღია ვაგონზე მუშაობის დროს.

ტრაქტორისტთა მომზადებას აფერხებენ

საქართველოს მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველომ დროულად დაამუშავა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა (ტრაქტორისტების, კომბაინერების, შოფერების) კადრების მომზადების გეგმა 1937 წლისათვის. დააკომპლექტა ავტოსატრაქტორო სკოლები და კურსები მაღალკვალიფიციური პედპერსონალით, უზრუნველჰყო სკოლები სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით, მიავლინა ადგილებზე სამმართველოს მუშაკები კონტინგენტის შესავსებად.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მტს-ების დირექტორთა მეტი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება ტრაქტორისტთა კადრების მომზადების საქმეს, არ იღებს საჭირო ზომებს მუშაკთა შესაგროვებლად. ხობის მტს-ს წულუკიძის ავტოსატრაქტორო სკოლაში 15 იანვრისათვის ტრაქტორისტთა კურსებზე უნდა გაეგზავნა 21 კაცი, 1 მარტს მივლინებული იყო მხოლოდ 8 კაცი, მაშინ, როცა მტს-ს „ჩტზ“ ტრაქტორებისათვის ერთი ტრაქტორისტიც არა ჰყავს.

ზუგდიდის მტს-მა 1 მარტისათვის მისავლინებელი 14 კაცის ნაცვლად გაგზავნა 5.

ასეთი მდგომარეობაა წალენჯიხაშიაც. უნდა მიევლინებინათ 5 კაცი, არ გაუგზავნიათ არცერთი.

უპასუხისმგებლოდ იქცევა ოჩემჩირის მტს-იც. მას 1 თებერვლისათვის სოხუმის მტს-თან არსებულ სატრაქტორო სკოლაში უნდა გაეგზავნა 22 კაცი. 1 მარტისათვის გაგზავნა მხოლოდ 10 კაცი.

ვანის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, გალის და ჯულელის რაიონებშიაც კონტინგენტის შევსება აშკარა საფრთხეშია.

ცუდი მდგომარეობაა ავტოსატრაქტორო სკოლებისათვის თანხების გადარიცხვის მხრივაც. თვითეული მტს-ი ვალდებულია ყოველ მსმენელზე სკოლას გადაურიცხოს თვეში 120 მანეთი. მაგრამ ამ ვალდებულებას გაურბიან. სკოლას არ გააჩნია სათანადო თანხები მსმენელთა კვებისათვის და იძულებულია ზოგიერთი ტრაქტორისტი გაუშვას სოფლად კოლმეურნეობიდან ფულის ჩამოსატანად. ეს გარემოება უეჭველად დაბლა სწევს მომზადების ხარისხს. წულუკიძის მტს-ის დავალიანებაა 1.390 მანეთი, ქუთაისისა — 1.950, ვანისა — 2.350, ხობისა — 1.100 და სხვ.

გარდა ამისა, მტს-ის დირექტორები არ ცდილობენ შეასრულონ მიცემული გეგმა ქალთა კონტიგენტის შეგროვების მხრივ. წულუკიძის ავტოსატრაქტორო სკოლაში ნაცვლად 45 ქალისა, მეცადინეობს მხოლოდ ერთი.

ამ მდგომარეობის გაგრძელება შეუწყნარებელია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მექანიზატორთა კადრების გეგმის ჩაშლა ფაქტიურად თესვის გეგმის ჩაშლაა. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ არსებული მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

ი. ორაგველიძე.

კოლხიდის არხებს სანიმუშო მოვლა!

აქ. ჭოჭუა

მიწსახკომის კოლხიდის ათვისების განყ. უფროსი

დაჭაობებული ადგილების დასაშრობად კოლხიდმშენს გაჰყავს სამი ტიპის არხი. ესენია წვრილი დამშრობები, კოლექტორები და მაგისტრალური არხები. კოლექტორები ღებულობენ წყალს წვრილი დამშრობი არხების ქსელიდან და უერთებენ მაგისტრალს.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ ამ არხების მოვლას, გაწმენდასა და დაცვას ამოშრობილი ფართობების ნორმალური ექსპლოატაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

კოლხიდის ნიადაგებზე მთელი რიგი სპეციფიკური პირობების გამო არხები უფრო ჩქარა ნაგვიანდება და ზიანდება, ვინემ სხვაგან. ეს განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს არხების სისტემატური მოვლისა და წმენდის საკითხს.

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით მაგისტრალურ არხებს და კოლექტორებს უვლის და სწმენდს კოლხიდმშენი. კოლხიდმშენი სწმენდს იმ წვრილ არხებსაც, რომლებიც გაყვანილია საფონდო მიწებზე. კოლმეურნეობათა ტერიტორიაზე გაყვანილი წვრილი დამშრობი არხების გაწმენდა კი დავალებული აქვთ თვით კოლმეურნეობებს. არსებობს საქართველოს მიწსახკომის არაერთი დადგენილება და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების გარკვეული მითითება, რომ წვრილი დამშრობი არხები კოლმეურნეობებმა უნდა მოიყვანონ სრულ წესრიგში. საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმზე ამხ. ბერიამ ხაზი გაუსვა კოლხიდმშენის მიერ გაყვანილი არხების უმწეო მდგომარეობას და სათანადო რაიონების პარტორგანიზაციებს მიუთითა დაუყოვნებლივ გამოესწორებინათ ეს ნაკლი.

როგორ სრულდება ეს მითითება, რა მდგომარეობაშია ის არხები, რომელთა გაყვანაზე საბჭოთა ხელისუფლებას მილიონები აქვს დახარჯული?

ამ მხრივ მდგომარეობა ვერ არის მაინცდამაინც სახარბიელო. საქმე ის არის, რომ დღემდე მთელი რიგი რაიონების პარტიული ორგანიზაციები, მიწგანები და მტს-ები ყურადღებას არ აქცევდნენ კოლმეურნეობათა ტერიტორიაზე გაყვანილი არხების მოვლასა და გაწმენდას. არის აგრეთვე როგორც არხების, ისე კოლექტორებისა და მაგისტრალების ხელოვნურად დანაგვიანებისა და გაფუჭების შემთხვევები.

ყოველივე ამის გამო ბევრგან არხებში წყალი ვერ გადის, გამოშრობილი ნიადაგები ისევ ჭაობდება და საფრთხეში ვარდება კოლხიდის მთელი სამელიორაციო სისტემა.

1937 წლის პირველი იანვრიდან მოხდა ერთგვარი გარდატეხა. ცხაკაიას, ხობის, აბაშის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის პარტრაიკომების ბიუროებმა სპეციალურად განიხილეს არხების მოვლა-გაწმენდის საკითხი და კოლხიდის ათვისების განყოფილებასთან ერთად დასახეს სათანადო ღონისძიებანი არხების სრულ წესრიგში მოსაყვანად. ზემოჩამოთვლილ რაიონებში მოწვეულ იქნა კოლხიდის ზონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, სოფლსაბჭოს თავმჯდომარეების და პარტორგანიზაციათა ხელმძღვანელების თათბირები. ამ თათბირებზე ამომწურავი პასუხი გაეცა არხების მოვლა-გაწმენდასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. დაწესდა არხების გაწმენდის სამუშაოთა გამომუშავების სანიმუშო ნორმები. მოგვარდა არხების გაწმენდის სამუშაოებზე ტექნიკური ხელმძღვანელობის საკითხი და გადაწყდა არხების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო ამიერიდან გათვალისწინებულ იქნას კოლმეურნეობათა წლიური საწარმოო გეგმით.

კოლმეურნეობათა ტერიტორიაზე გაყვანილი წვრილი დამშრობი არხების სიგრძე კოლხიდის ზონაში უდრის 524.733 გრძივ მეტრს. არხები ყველაზე მეტია ცხაკაიას რაიონში (178.770 გრძივი მეტრი), შემდეგ ხობისა და ლანჩხუთის რაიონებში.

სადირექტივო ორგანოების მიერ დაწესებული ნორმის მიხედვით, წვრილი არხები წელიწადში უნდა გაიწმინდოს სამჯერ: ზამთარში და გაზაფხულზე ლექისა და ბალახებისაგან, ზაფხულში — ბალახებისა და სხვა მცენარეულობისაგან, ხოლო შემოდგომაზე — ისევ ლექისა და ბალახისაგან.

მიმდინარე წელს არხების გაწმენდის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 15 მარტი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ ვადის გასვლამდე ძლიერ ცოტა დროა დარჩენილი, უნდა დავასკვნათ, რომ არხების გაწმენდის სამუშაოთა ვადაზე შესრულებას ჩაშლის საფრთხე მოელის.

არხების გაწმენდის მხრივ ყველაზე წინ მიდის ცხაკაიას რაიონი, რომელსაც 28 თებერვლისათვის შესრულებული ჰქონდა გეგმის დაახლოვებით 80 პროცენტი. შედარებით ჩამორჩენილია ხობის რაიონი, რომელსაც შესრულებული აქვს გეგმის მხოლოდ 38 პროც. აბაშის რაიონი გაწმენდას აჭიანურებს სრულიად უსაფუძვლოდ. ჩოხატაურის და მახარაძის რაიონებს კი დღემდე არ წარმოუდგენიათ არავითარი ცნობა არხების გაწმენდის მიმდინარეობაზე.

თებერვლის განმავლობაში თბილი ამინდები არხების გაწმენდის ვადაზე ადრე დამთავრების სრულ შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ ეს ამინდები ვერ გამოიყენეს ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებმა, ხობის რაიონსაც შეეძლო მეტის გაკეთება, მაგრამ იქ ჩამორჩენა გრძელდება იმის გამო, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები დაჟინებით არ ჰკიდებენ ხელს არხების გაწმენდას. (ფოთის რაიონზე აქ არაფერს ვამბობთ, რადგანაც იქ წვრილი დამშრობი არხების რაოდენობა უმნიშვნელოა და მათი გაწმენდაც ვადაზე მთავრდება).

საჭიროა ამ სამუშაოს განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება მიექცეს. მუშაობა ისე უნდა გაიშალოს, რომ არხების გაწმენდის დავალება ყველა რაიონმა მინდვრის სამუშაოთა მასობრივად დაწყებამდე, ე. ი. 15 მარტამდე შეასრულოს. პირველ რიგში მთელი ძალების დაჭიმვა ჰმართებთ ხობისა და ლანჩხუთის რაიონებს, რომლებსაც არხების ნახევარზე მეტი ჯერ კიდევ გასაწმენდი აქვთ.

მთელი სამელიორაციო ქსელის ნორმალური ექსპლოატაცია მოითხოვს არა მარტო წვრილი დამშრობი არხების, არამედ კოლექტორებისა და მაგისტრალების გაწმენდასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ კოლხიდმშენის ხელმძღვანელობა ბოლშევიკურად ანაღდებს დავალებას. მაგისტრალური არხებისა და კოლექტორების გაწმენდის გეგმა კოლხიდმშენს მთლიანად აქვს შესრულებული.

მაგრამ არის ზოგიერთი სამუშაო, რომელსაც კოლხიდმშენმა სასწრაფოდ უნდა მიაქციოს ყურადღება. მხედველობაში გვაქვს № 1 მაგისტრალის გაფართოვება და წყალსაქაჩი სადგურის დადგმა ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის საბჭოს ტერიტორიაზე. ეს ორი საკითხი უნდა მოგვარდეს რაც შეიძლება მალე, რომ შესაძლებელი გახდეს წვრილი დამშრობი არხების ნორმალური ექსპლოატაცია და დასახელებულ უბნებზე დაშრობილი ადგილების ეფექტურად ათვისება.

კოლხიდის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უფრო ენერგიულად და მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდონ ხელი კოლხიდმშენის მიერ გაყვანილი არხების მოვლა-დაცვას და პატრონობას. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როდესაც უპასუხისმგებლო პირები ანგრევენ არხებს, დამბებს, ნაგებობებს და ეს დანაშაულებრივი მოქმედება დაუსჯელი რჩება. რაიაღმასკომებმა უნდა შეიმუშაონ და გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი არხების დაცვის შესახებ და მტკიცედ გაატარონ ისინი ცხოვრებაში.

კოლმეურნეთა მასები აქედანვე უნდა შევაჩვიოთ არხების გულმოტკივრად მოვლასა და დაცვას. ყველა უნდა განიმსჭვალოს იმ აზრით, რომ ეს არხები გაყვანილია თვით კოლმეურნე მასების უფრო უკეთესი ბედნიერი ცხოვრების უზრუნველსაყოფად და ამიტომ ისინი, კოლმეურნეები, არხებს თვალისჩინივით უნდა უვლიდნენ.

არხების გაწმენდის ამჟამად მიმდინარე კამპანიის წარმატება გვიჩვენებს, თუ რომელი რაიონის ხელმძღვანელობა როგორ აფასებს კოლხიდის ათვისების უდიდეს სამეურნეო-პოლიტიკურ მნიშვნელობას და როგორ იბრძვის იმ უდიდესი დავალებების შესასრულებლად, რომელიც ამხ. ლ. ბერიამ კოლხიდის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს დაუსახა.

ავაგოთ ხიდები მდ. არაგვზე

ფასანაურის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი რკინის ხიდია მდ. არაგვზე. ისიც დაძველებულია და კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს. სხვა ხიდები ხისაა, ადიდებულ არაგვის ვერ უძლებენ და წელიწადში რამდენჯერმე სჭირდებათ შეკეთება. მოსახლეობა ამაზე დიდ დროს ხარჯავს და ხე-ტყეც ჩანადდება.

ჩვენი აზრით, საჭიროა მდ. არაგვზე აიგოს სამი, გამძლე ხიდი: ერთი — ანანურსა და ფასანაურს შუა, მეორე — ფასანაურსა და მლეთს შუა, ხოლო მესამე — მდინარე შავ-არაგვზე, ფასანაურის მახლობლად.

რამდენიმე წლის წინათ ფასანაურის სასოფლო საბჭომ განიზრახა ერთი ხიდის აგება (ჭართლის ძირას), მოსახლეობაში ფულიც შეაგროვეს, მაგრამ ხიდი რატომღაც არ აუგიათ.

სამი ხიდის აგება ძნელი საქმე არ არის. ისინი შეიძლება გაკეთდეს ქვისა ცემენტის ხსნარზე (თაღოვანი კონსტრუქციის). გარდა ცემენტისა, რომლის მიტანა საქ. სამხედრო გზით ადვილად შეიძლება, ყველა საშენი მასალა ადგილობრივ მოიპოვება.

საჭიროა ეს საქმე სასოფლო საბჭომ ითავოს. მოსახლეობა კი მას აქტიურად დაუჭერს მხარს.

გრიგოლ ყველაიძე.

ფოთის ნავსადგური

წინათ შიშველი ზღვის პირი შენობებით გავსებულა, ლამაზად ჩამწკრივებულა მუშათა საცხოვრებელი სახლები ახალი ყაიდის ჩუქურთმებით, თანამედროვე არქიტექტურული გაფორმება ამშვენებს ამ კაპიტალურ შენობებს. სახლების ეზოებში ყვავილნარები და ბაღებია, არემარე ციტრუსებშია გახვეული.

ნავსადგურის გული მაგრად სცემს, გემთშემკეთებელი ქარხანა განუწყვეტლივ გრიალებს, ელექტროამწეები ხმაურობენ, თეთრი და შავი ტვირთი განუწყვეტლივ იგზავნება. ნავსადგურის კოლექტივი გმირულად იბრძვის პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის. ასეთი მუშაობის შედეგად მათ შარშან ნავსადგურთა საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და საწარმოო მაჩვენებლების მხრივ პირველ ადგილზე გამოვიდნენ. შარშანდელი გეგმა ორთვენახევრით ადრე შეასრულეს, თითქმის, ორ მილიონ ტონამდე ტვირთი გადაზიდეს.

შარშანწინ ნავსადგურელებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს 400 ათას მანეთზე მეტი დოტაცია, შარშან კი ნავსადგური რენტაბელური გახდა, მოგებამ გეგმით გათვალისწინებული 736 ათასი მანეთის ნაცვლად 2 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ნავსადგურში ტვირთბრუნვის ხვედრითი წონის 70,3 პროცენტი მარგანეცს უჭირავს. აქედან მადანი იგზავნება უცხოეთში და საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ ქარხნებში.

ნავსადგურში საუკეთესოდ გამოიყენეს არსებული მექანიზმები და გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. თუ შარშან გეგმით ერთ კაცზე უნდა გადამუშავებულიყო 23,4 ტონა ტვირთი, ფაქტიურად გადამუშავდა 25,6 ტონა, მექანიზმების ნაყოფიერება 40 ტონიდან 46,7 ტონამდე ავიდა. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს თვითღირებულების შემცირებაშიც, ტონა ტვირთის ღირებულება 2 მან. და 14 კაპიკიდან 2 მანეთამდე დაიყვანეს.

პირველი და მეორე უბნები უკეთესი საწარმოო მაჩვენებლებისათვის იბრძვიან. პირველმა უბანმა 196 სატვირთო გემი გაუშვა 793 საათით ადრე, რისთვისაც მიიღო 31.971 მანეთი დემოროჩი. სტახანოველები გრიგოლ ბესედკა, აკაკი დოლიძე, გრიგოლ კირიჩენკო, სევერიან ბოჯგუა და სხვები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ტვირთზიდვის გეგმას.

მეორე უბანი მთლიანად შავი ტვირთის გადატვირთვაზე მუშაობს. აქ ვადაზე ადრე გაუშვეს 418 გემი და მიიღეს დემოროჩი 117.787 მანეთი.

— რა მძიმე იყო მუშაობა მენშევიკების დროს, — იგონებს სტახანოველი ამხ. ივანე გაბელია. — გემებს კალათებით ვტვირთავდით და ერთი გემის დატვირთვას თხუთმეტ-ოც დღეს ვანდომებდით. ახლა?

ახლა დღედაღამ განუწყვეტლივ მუშაობს ნავსადგური. როგორც კი ჩამოდგება მარგანეცით დატვირთული შემადგენლობა, მას წამსვე დახსნიან, მარგანეცს ხარისხების მიხედვით დაანაწილებენ და ვაგონებს რიგრიგობით ელექტროამწის ქვეშ ჩაამწკრივებენ. ამწე ვაგონზე მდგომ მარგანეცით დატვირთულ კვიბელს ჩაევლება, ჰაერში გაიტაცებს და პირდაპირ გემში მიუშვებს, ექსკავატორები გამალებით ეზიდებიან მარგანეცს ამწის ტუჩთან, აქ მარგანეცის გორები დგება...

მარგანეცის დატვირთვა-გადმოტვირთვა თითქმის მთლიანად მექანიზებულია, მაგრამ წელს მეორეუბნელები კიდევ უფრო გააუმჯობესებენ მექანიზაციას. ისინი იძენენ 6 ახალ გრეიფერს, რომელიც პირდაპირ დასცლის ვაგონს და საჭირო არ იქნება ვაგონების ხელით დაცლა.

ვაგონების დაცლაზე სტახანოვურად მუშაობენ ამხ. ბაგრატ აბურჯანიას, აკაკი არჩაიას, ივანე გაბელიას, პეტრე ბაბუჩის, იროდიონ გაბისონიას ბრიგადები.

აგერ, ჩამოდგა ინგლისის ყვითლად შეღებილი გემი „ტრანსბალტი“, იგი 8 ათას ტონა ტვირთს იტევს, ტვირთმზიდავი სტახანოველები მიესივნენ მას, ვადაზე ადრე დატვირთეს და ადრევე გაისტუმრეს. ასევე ვადაზე ადრე ისტუმრებენ ისინი საბჭოთა გემებს „დეკაბრისტს“, „თბილისს“, „ხარკოვს“, „კიევს“, ერთ ცვლაზე ათი-თერთმეტი ათას ტონა მარგანეცს რომ ეზიდებიან ქერჩში, მარიუპოლში, ფილადელფიაში...

შავი ტვირთის მუშები სახელოვნად მუშაობენ. ისინი შრომაში ერთმანეთს ეჯიბრებიან და საერთო წარმატებებს აღწევენ. მაგრამ მათ ბევრი ხელშემშლელი პირობა აქვთ: მარგანეცის შემადგენლობა ხშირად საათობით იგვიანებს, მაშინ ისინი სცდებიან, ხოლო როცა მოსულ შემადგენლობას დასცლიან, რკინიგზას ეს დაცლილი მატარებელი გვიან გაჰყავს, ორთქლმავალს დროზე ვერ იძლევა. ზოგჯერ შორაპნელი მტვირთავებიც ნაკლები წინააღმდეგობის გზით მიდიან. მათ მარგანეცის მადანი მხოლოდ კვიბელში უნდა ჩაუშვან, ისინი კი ხშირად მარგანეცის მადანს კვიბელსა და კვიბელს შუა ჰყრიან, ეს სამუშაოს ართულებს, დანაკარგებს ზრდის...

ნავსადგურელთა წარმატებები ფოთის ბოლშევიკებისა და თვით ნავსადგურის სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების კარგი ხელმძღვანელობის შედეგია. ნავსადგურელები წელსაც ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ისინი იბრძვიან პირველობისათვის, შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის და კიდეც მიაღწევენ ამას.

ვალ. გაბუნია.

თბილისის ვაგზლის ხელმძღვანელები სისტემატურად ამოწმებენ მუშათა ცოდნას მოძრაობის, სიგნალიზაციისა და ტექნიკური ექსპლოატაციის დარგში. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: თბილისის ვაგზლის უფროსი ამხ. ფარცვანია პარტორგ ამხ. ლუტიძესთან და ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. კიკნაძესთან ერთად ამოწმებს მეისრეების ლოგილაშვილისა და ანტონოვის ცოდნას.

ფოტო ბუდეშტსკისა, „სოიუზფოტოს“ საქ. განყ.

აფრ. ჯიბუტი

მიწსახკომის სუბტროპიკული სამმართველოს უფროსის მოადგილე

ნახევარი მილიარდი ციტრუსის ნაყოფი

> „როგორც იცით, ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობაზე ამხანაგ სტალინს დავპირდით, რომ 1937 წელს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს მივცემთ ნახევარ მილიარდ ცალ ციტრუსის ნაყოფს.
> დაპირების შესრულების ვადა ახლოვდება... ბელადისათვის მიცემული ჩვენი დაპირება უნდა შესრულდეს“.
>
> ლ. ბერია

ციტრუსების განვითარების საქმეს მტკიცე საფუძველი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩაეყარა. ორდენოსანმა საქართველომ ბოლშევიკთა საამაყო ხელმძღვანელის, ამხ. ლ. ბერიას ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით 1936 წელს ციტრუსების ნარგავთა ფართობი აიყვანა 3777 ჰექტარამდე და მოსავლიანობაც გაადიდა.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილებით გათვალისწინებულია 1940 წლის დასასრულისათვის ციტრუსების ნარგავთა ფართობი ჩვენში აყვანილ იქნას 20 ათას ჰექტარამდე, აქედან მანდარინი — 12 ათას ჰექტარზე, ლიმონი — 7 ათას ჰექტ., ფორთოხალი — 1000 ჰექტ.

ციტრუსების განვითარების 5-წლიანი გეგმით პლანტაციები გაშენდება საკოლმეურნეო სექტორში 9.474 ჰექტარზე, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე — 6.246 ჰექტ. და საბჭოთა მეურნეობებში — 1100 ჰექტ.

ყოველივე ეს, ცხადია, კიდევ უფრო გაადიდებს კოლმეურნეთა შემოსავლიანობას, უზრუნველჰყოფს კოლმეურნეთა შეძლებულად გახდომას.

წელს საბჭოთა საქართველომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას უნდა მისცეს ციტრუსების არანაკლებ ნახევარი მილიარდი ცალი მაღალხარისხოვანი ნაყოფისა.

ამ მიზნის მისაღწევად მთავარია ციტრუსების ნარგავების სანიმუშოდ გამოზამთრება და ყველა სახის მავნებლებისაგან და ავადმყოფობისაგან ციტრუსების პლანტაციების განთავისუფლება. მცენარეს უნდა შევუქმნათ ყველა პირობა ნაყოფის უხვად გამოღებისათვის — უზრუნველვყოთ საკვებით, წყლით, ნორმალური განათებით; უნდა მივაღწიოთ ნაყოფის დაცვენის მინიმუმამდე შემცირებას.

ციტრუსების გამოზამთრების შესახებ ინსტრუქცია ოქტომბრის მეორე ნახევარში უკვე ადგილებზე იყო. იმ რაიონებში, სადაც ამ საქმის ორგანიზაციას ინსტრუქციის თანახმად შეუდგნენ, დეკემბრის ბოლოსა და 1-2 იანვარს დამდგარმა ყინვებმა ციტრუსებს ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენა (ქობულეთის, ბათუმის, მახარაძის, ლანჩხუთის, ფოთის, ზუგდიდის და ცხაკაიას რაიონებში ტემპერატურის დაცემამ მინუს 8-10 გრადუსამდე ზიანი ვერ მოიტანა). ასევე უვნებლად გადაურჩა ყინვას კოლმეურნეობა „რევოლუციის ნაპერწკლის“ (სოხუმის რაიონი, თავმჯდომარე ტრ. კაკულია) ციტრუსების პლანტაციები და სანერგე; მცენარეები საუკეთესოდაა მოვლილი. კარგად იზრუნეს ციტრუსებისათვის „რიზოსპასტის“ (გაგრის რაიონი) და „ზარია ვოსტოკას“ სახელობის კოლმეურნეობებშიც (თავმჯდომარე მ. როგანიანი).

მაგრამ ამ მეტად პასუხსაგებ საქმეს ყველა რაიონმა როდი მიაქცია ჯეროვანი ყურადღება. აფხაზეთის ზოგიერთ რაიონში ციტრუსების გამოზამთრების შესახებ მიწოდებული ინსტრუქცია სადისკუსიო საგნად გახადეს იმ მოტივით, რომ წელს ყინვები არ იქნება და რა საჭიროა გავატაროთ ის ღონისძიებანი, რომლებიც ინსტრუქციით არის გათვალისწინებული. დეკემბერში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად აფხაზეთის სამიწათმოქმედო ორგანოებს სათანადო მითითება მიეცათ. დადგენილებაში ნათქვამი იყო: ვინაიდან მიმდინარე წელს მოსალოდნელია დიდი ყინვები, ციტრუსების გამოზამთრების საქმეში არსებულ უპასუხისმგებლობას და უდარდელობას ბოლო უნდა მოეღოსო. შემდეგ კონკრეტულად ჩამოთვლილი იყო, თუ რა საქმე, როგორ და როდის შეესრულებინათ.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის მთელმა რიგმა რაიონებმა ეს დავალება არ შეასრულეს — ციტრუსები არ შეფუთეს, რის გამო დეკემბრის ყინვებმა საგრძნობი ზიანი მიაყენა ნარგავებს. მაგალითად, ნ. ლაკობას სახელობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ალ. ამაზა, დირექტორის მოადგილე ან. ვანიუკოვი) მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ტოტები აკრული არ იყო, მცენარეებს შემოყრილი არ ჰქონდა მშრალი, ფხვიერი, ორგანიული ნარჩენებისაგან განთავისუფლებული მიწა, ნარგავებისათვის არ გაუკეთებიათ საფარები, რის გამო 142 ძირი ლიმონი ყინვამ დააზიანა.

ასევეა აფხაზეთის სას.-სამეურნეო პროდუქტთა დამამზადებელი ორგანიზაციის მეურნეობაში (დირექტორი ივ. მარღანია). უთავბოლო და უპასუხისმგებლო მუშაობით 200 ძირი სრულმოსავლიანი ციტრონი ყინვამ ძლიერ დააზიანა. სუბტროპიკულ კულტურათა სოხუმის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტშიც ყინვებისაგან მცენარეთა დაცვის სპეციალისტები ალ. ლობიკი და გრ. ნადარაია, საქმის დროზე და სამაგალითოდ შესრულების ნაცვლად, დისკუსიას უნდებიან: საქ. მიწსახკომის მიერ მოცემული ინსტრუქცია სწორია თუ არა და გაატარონ თუ არა ის ცხოვრებაში. ინსტიტუტის მეურნეობაში ლიმონის ნარგავებს საფარები არ გაუკეთეს, არ მოაწყეს გათბობა. ამის გამო ყინვებისაგან დაზიანდა 40 ძირი სრულმოსავლიანი ლიმონი. გარდა ამისა, ამ მეურნეობაში მანდარინის ტოტების აკვრასა და ღეროზე მიწის შემოყრას მხოლოდ ყინვების შემდეგ შეუდგნენ, ამავე დროს ღეროზე აყრიდნენ მოყინულ, სველ და ბალახიან მიწას, რაც ყოვლად დაუშვებელია.

სოხუმის რაიონის დრანდის სოფლის საბჭოს (თავმჯდომარე პ. სიჭინავა, აგრონომი გრ. ცაავა) ეზოში დარგული ჰქონდა 17 ძირი მანდარინი და 3 ძირი ლიმონი. მოუვლელობის გამო ყველა ლიმონი ყინვებმა დააზიანა, მანდარინი კი საქონელმა გადაჭამა.

ამავე რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე არ. თოდუა) 2 ჰექტარი მანდარინი გააშენა, მაგრამ ცუდად შეღობა, ნარგავებს მიწა ცუდად შემოაყარა და ცუდად შეახვია. პლანტაციაში ღორები თარეშობენ, ნარგავებს საფარები სრულიად მოაცალეს და ძირები გამოუთხარეს, უყურადღებოდ მიტოვებული ნარგავი ყინვებმაც დააზიანა.

აღსანიშნავია, რომ სოხუმში, გუდაუთსა და გაგრაში ქალაქის მცხოვრებთა ეზოებში გაშენებული ციტრუსოვანთა ნარგავები თითქმის არსად ამ ბოლო დრომდე დაცული არ იყო. ლიმონები ზიანდებოდა, რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები ამას ხედავდნენ, მაგრამ დასაცავად ზომები არ მიუღიათ.

გარდა ამისა, აფხაზეთის ზოგიერთ მეურნეობაში მცენარეები ისეა შეხვეული, რომ ტოტები საფარებს ეკვრის. ზოგ ნარგავს საფარი გაკეთებული აქვს, მაგრამ სარკმელი არ დაუტოვებიათ. ამის გამო მცენარე დახურულია, აერაციას და სინათლეს მოკლებულია, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ფოთლების დაცვენა და მცენარის დასუსტება. კარგ ამინდებში ფარდულების სარკმლები აუცილებლად გაღებული უნდა იყოს, რათა მცენარემ რაც შეიძლება მეტი სინათლითა და ჰაერით ისარგებლოს.

ავიღოთ მეორე საკითხი. რა მდგომარეობაა ციტრუსების ნარგავების ყველა სახის მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლაში?

შემოწმებამ დაადასტურა, რომ ადგილებზე პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ბევრგან ამ საქმესაც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, საწინააღმდეგო ღონისძიებებს წესიერად არ ატარებენ, მაგალითად, შარშან ზაფხულის განმავლობაში გაგრის, გუდაუთის და სოხუმის რაიონებში ეგვიპტის კალიის წინააღმდეგ, რომელმაც ციტრუსების ნარგავები დააზიანა, ზომები არ მიუღიათ. კალია განსაკუთრებით თავისუფლად გრძნობდა თავს ლაკობას სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, სოხუმის ქალაქის ბაღში, სას.-სამეურნეო ტექნიკუმის ბაღში, ფსირცხის, ვოლოდარსკის და ეშერის სოფლის საბჭოების ციტრუსების პლანტაციებში, აგრეთვე კოლექტივის წევრებისა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ფართობებზე (გაგრის რაიონი). მავნებელთა არსებობა მთელი ზაფხულის განმავლობაში „ვერ შეამჩნიეს“ აფხაზეთის მიწსახკომმა, მიწგანებმა, მტს-ებმა და ჩაის კანტორამ.

გარდა ამისა, მთელ რიგ რაიონებში ციტრუსები დაავადებულია ფარიანებით, ტრიპსით, მანდარინის ტილით, გომოზით და სხვა ავადმყოფობითა და მავნებლით. ციტრუსების მტრები განსაკუთრებით გავრცელებულია გაგრისა და სოხუმის რაიონებში: დასასვენებელი სახლისა და სანატორიუმების პლანტაციებში, აგრეთვე ბათუმის რაიონში — კახაბერის, კაპანდიდის, გონიოს და სარფის სოფლის საბჭოების ტერიტორიაზე არსებულ პლანტაციებში, ქობულეთის რაიონში — დაგვის, ქაქუთის, მუხაესტატეს და ხალას სოფლის საბჭოებში; მახარაძის რაიონში: შრომის და მერიის სოფსაბჭოს ტერიტორიაზე არსებულ პლანტაციებში; ლანჩხუთის რაიონში: ჩოხატის და შუხუთის სოფლის საბჭოში.

ცხადია, მავნებლები და ავადმყოფობანი უმთავრესად გავრცელებულია იქ, სადაც პლანტაცია მოუვლელია. სავსეა სარეველა ბალახებით, მცენარეს არა აქვს გაკეთებული ტერასები, ღეროს ირგვლივ წრეები არ გაუკეთებიათ, ხეები ცუდად არის შემობარული, სასუქი იშვიათად შეაქვთ, პლანტაციები დაჩრდილულია, მცენარის ღერო დაფარულია ხავსით; ხეები არ იწმინდება ხმელი ტოტებისაგან, გამხმარი ნაწილები პლანტაციებიდან არ გამოაქვთ.

ციტრუსების შეწამვლა 15 მარტს უნდა დამთავრდეს. შეწამვლის გეგმა რაიონებს მიცემული აქვთ. საჭირო ინსტრუქცია და პრეპარატებიც ადგილებზეა. მიუხედავად ამისა, შეწამვლის გეგმა ბევრგან ჩამორჩენილია (ფოთი, ხობი, აბაშა, გეგეჭკორი, ჩხოროწყუ, გუდაუთი, სოხუმი).

ამ მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. ციტრუსების შეწამვლა უნდა დავამთავროთ ვადაზე და ხარისხიანად. სამიწათმოქმედო ორგანოებმა, ყველა მეურნემ საქმეს მთელი სერიოზულობით უნდა მოჰკიდოს ხელი.

უხვი მოსავლის მიღების შემდეგი პირობაა ნაკელის მომზადება და პლანტაციებში მისი დროულად შეტანა. წელს მოსავლიან პლანტაციებში ნაკელის შეტანის დოზები გადიდებულია. რესპუბლიკაში ციტრუსებისათვის დამზადებულ უნდა იქნას სულ 81.738 ტონა ნაკელი. ამ საქმეში ჩამორჩენილი არიან მახარაძის, ლანჩხუთის, ფოთის, აბაშის, წულუკიძისა და წალენჯიხის რაიონები. ეს ნაკლი დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს.

ასევე გადაუდებელი ღონისძიებაა ხეებისათვის ზრდა-განვითარების ოპტიმალური პირობების შესაქმნელად ღეროს ირგვლივ წრეების (ბუდნების, ტერასების) გაფართოვება და ნიადაგის თავის დროზე წესიერად დამუშავება, გვალვიან ამინდებში მორწყვით უზრუნველყოფა.

უდავოა, ყველა ეს საბრძოლო ამოცანა ზუსტად უნდა შესრულდეს. აუცილებელია ღეროს ირგვლივი წრეების გაფართოვება როგორც ვაკე, ისე ფერდობ ადგილებზე, მიწის შემოყრა ისეთი ნარგავებისათვის, რომელთაც მიწა ფესვის ყელთან შემოცლილი აქვთ და ძირები უჩანთ. ასევე აუცილებელია მძიმე ნიადაგში სილის შეტანა, ციცაბო ადგილებზე დაქანების მხრიდან მოწნული კედლების ღობის გაკეთება, ნაკელის მიზიდვა ნარგავებთან და განაწილება, ღეროს ირგვლივ წრეების (ბუდნების) ბარ-ფიწლით გადაბარვა.

ყველა ეს სამუშაო მარტის ბოლოსათვის უნდა დამთავრდეს. ამავე დროს, ნიადაგის დამუშავებასთან ერთად, პლანტაციებში უნდა შევიტანოთ ნაკელი და მინერალური სასუქები, ჩავთოხნოთ და წესიერად ავურიოთ ნიადაგში. ფერდობ ადგილებზე ნაკელი ტერასის კედლის მხრიდან ისე უნდა შევიტანოთ, რომ არ ჩამოირეცხოს.

გვალვიან ამინდებში, განსაკუთრებით ყვავილობის პერიოდში, ციტრუსების ნარგავები აუცილებლად უნდა მოირწყას. საჭიროა, სადაც მოსახერხებელია, ახლავე შევუდგეთ პლანტაციებში არხების გაყვანას, ჭებისა და ორმოების ამოღებას, წყლის მოსაზიდავად და ნიადაგის მოსარწყავად საჭირო ჭურჭლის მომზადებას (კასრები, ვედროები, სარწყულები და სხვ.).

საერთოდ, ციტრუსების მოსავლის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა პრაქტიკულად გატარებას ახლავე უნდა შევუდგეთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ციტრუსების უხვი მოსავლის მიღება მხოლოდ დროული და მიზანშეწონილი, ხარისხიანი მუშაობით შეიძლება.

სავალდებულო მითითებათა რაც შეიძლება უკეთესად გატარებით, სტახანოვური, ნამდვილი ბოლშევიკური მუშაობით ჩვენ შევასრულებთ ამხანაგ სტალინისათვის მიცემულ პირობას: 1937 წელს საბჭოთა კავშირის მშრომელთა სუფრას მივაწოდებთ ციტრუსების ნახევარ მილიარდ ცალ ნაყოფს.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, მეურნეობის თვითეულმა მუშაკმა ახლავე უნდა გარდაქმნან მუშაობა იმგვარად, რომ არსად, მუშაობის არცერთ უბანზე ჩამორჩენა არ გვქონდეს. მაგრად მოვკიდოთ ხელი ციტრუსების უხვი მოსავლის მიღების საქმეს.

◆

ორდენოსანი საბჭოთა აჭარის დედაქალაქი — ბათუმი ერთერთი ულამაზესი ქალაქია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიაც. ქალაქის მთელი რიგი ქუჩები ლამაზად არის გაფორმებული და მოასფალტებული. ყოველწლიურად უმჯობესდება ქალაქის კეთილმოწყობა. ქალაქში უხვად არის სუბტროპიკული და ჩვეულებრივი მცენარეულობა. სურათზე: ბათუმის ერთერთი კუთხე — შესასვლელი ზღვის სანაპირო ბულვარზე.
ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

საქართველოს სახკომსაბჭოში

— **გადაწყვეტილია** მოხდეს ქ. ქუთაისში იმ სახლის რესტავრაცია, სადაც ცხოვრობდა ამხანაგი საშა წულუკიძე. სარესტავრაციო სამუშაოთა შესრულება დავალებული აქვს საქმშენს. საქ. სახკომსაბჭომ ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცა 60.000 მანეთის ოდენობით.

— **საქ. სახკომსაბჭომ** დააკმაყოფილა საქაბრეშუმის შუამდგომლობა მეაბრეშუმეობის რაიონებში რაიონული კანტორების მოწყობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საქაბრეშუმი ხსნის თავის სარაიონო კანტორებს გალში, ოჩემჩირეში, გუდაუთში, ფოთში, ამბროლაურში, ბორჩალოსა და კასპში.

— **სახკომსაბჭოს** ახალი დადგენილების მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია ძვირფასი ჯიშების მერქნის თავისუფალი დამზადება. ბზა, ურთხმელა, ძელქვა, კაკალი, კაკლის თია, კავკასიური იადალაჯი, ბოყვი, სარეზონანსო ნაძვი, წაბლი, ხურმა, მსხალი, დათვის თხილი, ყველა სახის ნეკერჩხალი და ჰანდარი ეკუთვნიან დადგენილებაში გათვალისწინებულ ძვირფას ჯიშებს. ამ ჯიშების მერქნის დამზადება მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით შეიძლება.

— **საკავშირო სავაჭრო პალატის** საქართველოს ფილიალის წევრებად სახკომსაბჭომ დაამტკიცა 69 სავაჭრო და კოოპერატიული ორგანიზაცია.

◆

ჩვენ გვწერენ

რატომ მოისპოს?

1933 წლიდან ვცხოვრობდი მოხუც ქალ რუსიევასთან ერთ პატარა ოთახში (თბილისი, ვარდისუბნის ქ. № 3). რუსიევა ღრმად მოხუცებული იყო და მე ვუვლიდი. გასული წლის ზაფხულს მე, როგორც ეკონომიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, ქუთაისში ვიყავ გაგზავნილი საწარმოო პრაქტიკაზე. ჩემს არყოფნაში რუსიევა გარდაცვლილა, ხოლო მის ოთახში თვითნებურად შესახლებულა დუსია პაშკოვა, რომელიც მანამდე ჩვენს გვერდით ცხოვრობდა.

მე სამ წელიწადზე მეტს ვცხოვრობდი ამ ოთახში, საბინაო ამხანაგობის წევრი ვარ და უფლება მქონდა მომეთხოვა პაშკოვას გამოსახლება. მან სასამართლოში აღძრა საჩივარი. სახ. სასამართლომ ოთახი მას მიაკუთვნა, მაგრამ უზენაესი სასამართლოს პლენუმმა განაჩენი სამართლიანად დაარღვია, ხოლო ხელმეორედ გარჩევისას ორჯონიკიძის რაიონის სახ. სასამართლომ გამოიტანა დადგენილება სადავო ოთახიდან პაშკოვას გამოსახლებისა და იქ ჩემი შესახლების შესახებ. პაშკოვამ გაასაჩივრა ეს განაჩენი.

მიმდინარე წლის 26 იანვარს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო საკრებულომ დააკმაყოფილა კასატორი, მე კი ოთახზე უარი მითხრეს და დაადგინეს: „საქმე წარმოებით მოისპოს“.

უნდა აღვნიშნო, რომ საქმეში მესამე პირად ჩაერია პროფ. ალ. ვაჩეიშვილი, რომელიც რატომღაც დაინტერესებულია პაშკოვას დარჩეს ოთახი.

საკასაციო საკრებულოს განაჩენი არასწორად მიმაჩნია. საქმე ხელახლა უნდა იქნას განხილული, მე მოვითხოვ სიმართლის აღდგენას.

ელენე კიკავა-კაშია.

ჭვარტლით ვიმურებით

ახლად აგებული აწ უკვე ექსპლოატაციაში მყოფი ვერის აბანოს შესახებ არაერთხელ დაწერილა პრესაში. ამბობენ: წყალი ხან ცივია, ხან სულ ცხელიაო. ასეთ პირობებში ბანაობა ადამიანის ორგანიზმზე სასიკეთო გავლენას ვერ მოახდენს. მაგრამ აბანო სხვა მხრივაც დიდ ზიანს აყენებს ადამიანთა ჯანმრთელობას.

ყველაფერი, რაც აბანოს ირგვლივ არის, რამდენიმე კვარტალის მანძილზე ჭვარტლში გამურულია და კვამლშია გახვეული. აბანო იმისათვის კი არ აშენებულა, რომ დღიურად 1000 მოქალაქეს დაებანა ტანი, ხოლო ამავე დროს ხუთი კვარტალის მოსახლეობა ჭვარტლით გამურულიყო! შეუძლებელია ფანჯრების გაღება, თეთრეულის გაშრობა, მცენარეულობა არ იზრდება, ადამიანსა და ცხოველს სუნთქვა უჭირს. ნუთუ ამის გამოსწორება არ შეიძლება? დიაღაც შეიძლება, მხოლოდ ამისათვის საჭიროა აბანოს შესაფერისი ღუმელი გაუკეთდეს.

ეფ. ზაქარაია.

ავიცილოთ წყალდიდობის ზარალი

სოფ. ლია (წალენჯიხის რაიონი) მდებარეობს მდ. ენგურის ნაპირას. ენგურს აკრავს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სახნავ-სათესი მიწები.

1935 წლის გაზაფხულზე ადიდებულმა ენგურმა გამოიცვალა კალაპოტი და კოლმეურნეობის სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები წალეკა. სოფსაბჭომ ამის შემდეგაც ზომები არ მიიღო მდინარის ნაპირის გასამაგრებლად.

1936 წ. წყალდიდობის დროს მდ. ენგურმა ხელახლა გადმოლახა კალაპოტი, გაანადგურა ნაპირებზე მდებარე საკოლმეურნეო ყანები, ზედ ქვა და სილა მოაფინა, ნაწილი გადარეცხა, დასამუშავებლად უვარგისი გახადა. წაიღო ხეტყის სახერხი ერთი ქარხანა და ორი წისქვილი, რომლებიც ლიის კოლმეურნეობის შემოსავლის წყაროდ ითვლებოდა. სოფლების დამაკავშირებელი შარა-გზა ნახევარი კილომეტრის მანძილზე წყლით დაიფარა და მიმოსვლისათვის უვარგისია.

წყალდიდობამ სოფ. ლიის 75 კოლმეურნის ოჯახი საფრთხეში ჩააყენა.

წყალდიდობის ზარალი რაიორგანიზაციებისა და წყალთა მეურნეობის რესპუბლიკური სამმართველოს წარმომადგენლებმა ადგილობრივ შეამოწმეს. დაიწერა აქტი. კოლმეურნეებს შეჰპირდნენ, რომ 1937 წ. წყალდიდობის საფრთხეს აიცილებდნენ, მდინარის ნაპირს გაამაგრებდნენ. ეს მხოლოდ დაპირება გამოდგა. ჯერჯერობით რეალურად არაფერი გაკეთებულა. თუ ასე გაგრძელდა, გაზაფხულზე კვლავ დიდი ზარალია მოსალოდნელი. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

ბიკენტი სამუშია
მ. ქარუხნიშვილი

◆ ◆ ◆

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„კომუნისტის“ 1936 წლის 22 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით. „გაზეთის მიუტანლობა —ბოროტმოქმედებაა!“.

წერილში აღნიშნული ფაქტების შემოწმებამ დაადასტურა, რომ ქ. თბილისის მეხუთე რაიგანყოფილების დატარების საამქროს გამგემ ადეიშვილმა მიიღო მოქ. ქემოკლიძის საჩივარი იმის შესახებ, რომ მას გამოწერილი ჰქონდა გაზ. „კომუნისტი“ და მის ნაცვლად ღებულობდა „ახალგაზრდა კომუნისტს“ ადეიშვილმა განცხადება უშედეგოდ დატოვა. გარდა ამისა მეცხრე განყოფილების წერილდამტარებელმა არუთინოვმა დასატარებელ რვეულში არ ჩასწერა მოქ. ნიკოლაიშვილი, რის გამო ეს უკანასკნელი გაზეთს არ ღებულობდა მთელი დეკემბრის განმავლობაში. მეათე განყოფილების გამგე იგიტხანოვის უხეირო მუშაობით, მოქ. ყაველაშვილის გაზეთებს სხვას აძლევდნენ.

კავშირგაბმულობის სახკომისარიატის რწმუნებული საქართველოში ამხ. უჩანეიშვილი გვაცნობებს რომ მის მიერ გაცემული ბრძანებით ქ. თბილისის მეხუთე რაიგანყოფილების დატარების საამქროს გამგე ადეიშვილი ხელისმომწერის საჩივრის უშედეგოდ დატოვებისათვის ერთი თვის განმავლობაში ჩამოქვეითებულ იქნა ხელფასის მხრივ ერთი კატეგორიით. მან უნდა გადაიხადოს ხელისმომწერის სასარგებლოდ გაზეთის 1 თვის ღირებულება. მეცხრე განყოფილების წერილდამტარებელ არუთინოვს და მეორე განყოფილების გამგე იგიტხანოვს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური გაფრთხილებით.

„სოიუზპეჩატის“ მეოთხე რაიბიუროს მომუშავე ჯანგულოვი უხეირო მუშაობისათვის სამუშაოდან მოიხსნა.

ჩვენი გაზეთებიდან

საინტერესო დოკუმენტები ნ. ვ. გოგოლის შესახებ

პოლტავის სახელმწიფო ისტორიულ არქივში იპოვნეს მთელი რიგი საინტერესო დოკუმენტები, დაკავშირებული რუსული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. მათ შორის მწერლის დის ელისაბედ ვასილის-ასულ ბიკოვას დიდმნიშვნელოვანი გამოუქვეყნებელი, შვილებისათვის დაწერილი მოგონებანი. თავისი ბავშვობის წლებისა და პეტერბურგში ყოფნის აღწერას ელისაბედ ვასილის-ასული უკავშირებს მოგონებებს ძმის ნიკოლოზ ვასილის-ძის შესახებ. როდესაც მწერალი პეტერბურგიდან იანოვშჩინაში ჩამოდიოდა, „ის აუმჯობესებდა სახლკარს, — სწერს ე. ვ. ბიკოვა — თვითონ ხატავდა დარბაზში ზედა არშიას, თაიგულებსა და არაბესკებს კედლებზე. გაიკეთებდა თეთრ წინსაფარს, შედგებოდა მაღალ სკამზე და ხატავდა ყალმით, დილაობით გვამეცადინებდა ჰე და ახას, გვასწავლიდა გეოგრაფიას და ისტორიას“...

„ტრუდ“

○

სამი კვირა ყინულის ტყვეობაში

შავი ზღვის თევზტრესტმა საზამთრო თევზაობაზე გაგზავნა ორი ექსპედიცია — კავკასიის ჩრდილოეთ ნაპირებთან — ხამსას დასაჭერად და ყირიმის ნაპირებთან — წითელი თევზისათვის.

ღელვამ, რომელიც 11 ბალს აღწევდა, თევზმჭერი პირველი ექსპედიცია აიძულა შეეწყვიტა მუშაობა. კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა 18 სათევზაო ნავისაგან შემდგარი ექსპედიცია, რომელიც წითელ თევზს იჭერდა ყირიმის ჩრდილოეთ ნაპირებთან. 150 ოდესელი მეთევზე, ქარბუქითა და ღელვით შეწუხებული, განაგრძობდა ზღვაში მუშაობას, გმირულად ებრძოდა სტიქიას. მიუხედავად ამისა, ამინდის მკვეთრად გაუარესებამ აიძულა ისინი თავი შეეფარებინათ პატარა ბუხტში აკმეჩეტის მახლობლად. ბუხტი სწრაფად გაიყინა. 30 სანტიმეტრის სისქის ყინულებმა ნავებს დაუკეტა ზღვაში გასასვლელი გზა.

სამი კვირის განმავლობაში მეთევზეები ყინულის ტყვეობაში იყვნენ. ბადეები ზღვაში დარჩა. საბედნიეროდ, მეთევზეთა ნავები შენიშნა ამ რაიონში მიმავალმა ორმა გემმა, ისინი შევიდნენ ბუხტში, დაამტვრიეს ყინული, გაიყვანეს არხი და მეთევზეთა ნავები ყინულის ტყვეობიდან გაანთავისუფლეს. მეთევზეები კვლავ გავიდნენ ზღვაში და განაახლეს თევზის ჭერა.

„ვეჩერნაია მოსკვა“.

○

„მექანიკური ადამიანი“

აზოვ-შავი ზღვის მხარის ტექნიკურ სადგურს (დონის-როსტოვი) გათვალისწინებული აქვს მთელი რიგი საინტერესო ექსპონატების გაგზავნა პარიზის მომავალ საერთაშორისო გამოფენაზე. მათ შორის რადიოს საშუალებით სამართავი სახაზო გემის მოდელი, რომლის კონსტრუქცია ეკუთვნით კრასნოდარის მე-10 სკოლის მოწაფეებს კრუტკოს და მანასიანცევს. სადგურს გათვალისწინებული აქვს გაგზავნოს გამოფენაზე აგრეთვე „მექანიკური ადამიანი“, რომლის კონსტრუქცია ეკუთვნის ნოვოჩერკასკის სკოლის მოწაფეს ვადიმ მაცკევიჩს. „მექანიკური ადამიანი“ მაღლა სწევს ხელებს, ისვრის ტყვიამფრქვევს და სხვ.

„იზვესტია“.

○

მანქანა ფილიგრანის ქაღალდისათვის

ქაღალდის ფაბრიკა „კრასნი კურსანტში“ (კიროვის ოლქი), დაიწყეს ქაღალდის ახალი მანქანის მონტაჟი ფილიგრანის (პაპიროსის) ქაღალდის წარმოებისათვის.

მანქანის საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მესამე კვარტალში.

„ლესნაია პრომიშლენნოსტ“.

○

კოლმეურნეებმა ბამბისაგან მიიღეს 3.750 მილიონი მანეთი შემოსავალი

გასული წლის სტახანოვურმა მოსავალმა მოგვცა 47 მილიონი ფუთი ნედლი ბამბა, ერთნახევარჯერ მეტი 1935 წლის მოსავალთან შედარებით. მეორე ხუთწლედის უკანასკნელ წელს ბამბის ბოჭკოს დამზადების გეგმა შესრულდა არათუ ერთი წლით ვადამდე ადრე, არამედ 4.300 ათასი ფუთის გადაჭარბებითაც.

ნედლი ბამბის დიდმა მოსავალმა მკვეთრად გაზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი. 1 მარტისათვის მათი შემოსავალი ბამბისაგან საბჭოთა კავშირში შეადგენდა 3.750 მილიონ მანეთს — შარშანდელზე თითქმის ერთი-ორად მეტს. მარტო ჯილდო-წანამატების სახით კოლმეურნეობებმა მიიღეს 1.200 მილიონი მანეთი. საკოლმეურნეო კომლის საშუალო შემოსავალი ბამბისა უზბეკისტანში, სხვა ფულადი შემოსავლისა და პროდუქტების ჩაუთვლელად, 4.200 მანეთს აღემატება, ხოლო თურქმენისტანში — 3.300 მანეთს. ბევრმა კოლმეურნემ მიიღო 10-დან 30 ათას მანეთამდე შემოსავალი ოჯახზე.

„სოვეტსკაია ტორგოვლია“.

კინოფილმი ს. ორჯონიკიძის შესახებ

თბილისის კინო-თეატრებში უჩვენებენ „სოიუზკინოქრონიკის“ მოკლემეტრაჟიან ფილმს სერგო ორჯონიკიძის შესახებ. სურათი იწყება სამგლოვიარო მელოდიით. მაყურებელი უდიდესი მწუხარებით კითხულობს წარწერას ეკრანზე: „ამხანაგ გ. კ. ორჯონიკიძის ხსოვნას“, მოსჩანს ძვირფასი, მშობლიური სერგოს შავ არშიებში ჩასმული პორტრეტი...

კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში მაღალ პოსტამენტზე ასვენია კუბო სერგოს ცხედრით. კუბო მთლიანად გვირგვინებშია ჩაფლული, დედაქალაქის მშრომელები ნელი ნაბიჯით მოდიან, მათ სახეებზე აღბეჭდილია უდიდესი მწუხარება, კუბოსთან დგას სერგოს უახლოესი მეგობარი ზინაიდა გავრილოვნა და სერგოს ქალიშვილი ეთერი. მოსკოვი თავის ვალს იხდის დიდი რევოლუციონერის წინაშე, მშრომელები უკანასკნელ „მშვიდობით“ ეუბნებიან სერგოს, ორკესტრი ასრულებს მწუხარებით აღსავსე სამგლოვიარო ჰიმნს.

სერგოს კუბოსთან მიდის ხალხის განუწყვეტელი ნაკადი. მოსკოვის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს თან მოაქვთ უდიდესი მწუხარება. საპატიო ყარაულში დგას საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ჩკალოვი. მალმალე იცვლება საპატიო ყარაული. კუბოსთან არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

უცებ ეკრანზე გამოჩნდება სერგო. იგი სტახანოველთა საკავშირო პირველი თათბირის ტრიბუნაზე დგას. ეკრანზე მგზნებარე სერგოს გამოჩენა უფრო მწვავედ განაცდევინებს მაყურებლებს მძიმე დანაკარგს, დარბაზში ჩუმი ოხვრაა.

სერგო ლაპარაკობს სტახანოველთა წარმატებაზე, სოციალიზმის გამარჯვებაზე. თათბირის ყველა მონაწილე და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ფეხზე ადგომით მქუხარე ოვაციას უმართავენ ამხანაგ სერგოს. სტახანოველები, კრივონოსელები დიდხანს არ აძლევენ თავიანთ საყვარელ სერგოს სიტყვის გაგრძელების საშუალებას.

კინოლენტი გვიჩვენებს სერგოს ცხოვრების უკანასკნელ მომენტს. 30 დეკემბერია. სოციალიზმის ინდუსტრიის სარდალი ამბობს უკანასკნელ სიტყვას გაზეთ „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ 15 წლისთავის საზეიმო სხდომაზე...

სერგოს ხშირად აწყვეტინებენ სიტყვას ოვაციებით.

სერგო მაღლა სწევს ხელებს და ამბობს:

„...არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენი წინსვლის შეჩერება, თუნდაც ერთი წამით. შეიძლება გამოინახოს ისეთი არამზადა, როგორიცაა პიატაკოვი, როგორიცაა რადეკი, როგორიცაა სოკოლნიკოვი, როგორიც არიან ყველა ჯურის შესტოვები, რომელთაც შეუძლიათ, სისაძაგლის გამო, მუხანათურად მოჰკლან ერთი, ორი, სამი მუშა, მაგრამ და იცოდნენ, რომ ჩვენი ქვეყანა უძლეველია, ჩვენი მუშათა კლასი უძლეველია, ჩვენი პარტია უძლეველია, ვინაიდან მას ჩვენი სტალინი მეთაურობს“.

დარბაზში ჰქუხს ოვაცია... როცა ამ სიტყვებს ამბობს, სერგოს სახის გამომეტყველებაში მოსჩანს ტროცკისტ-დივერსანტთა მიმართ დაუცხრომელი სიძულვილი.

... და უცებ! მაღალ პოსტამენტზე ასვენია სერგოს ცხედარი. მისი არწივისებური თვალები დახუჭულია, მუდამ მომქმედი ხელები გაქვავებულია, სახეს სითეთრე გადაჰკრავს სერგოს ყვავილთა თაიგულში სძინავს სამუდამოდ... აზრი ვერ შერიგებია სერგოს სიკვდილის ულმობელ სინამდვილეს...

სერგოს კუბოსთან საპატიო ყარაულში უკანასკნელად დგანან ამხანაგები: სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი

ეკრანზე მოსჩანს ყვავილების ზღვა, უამრავი გვირგვინები, გვირგვინებს შორის მოსჩანს ურნა სერგოს ნეშტით, ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს. ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი მიასვენებენ ურნას, სამგლოვიარო პროცესია მიემართება წითელი მოედნისაკენ.

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი სერგოს ურნას აბარებს კრემლის ისტორიულ კედელს, მახლობელი და მშობლიური სერგო მირონიჩის გვერდით...

ორკესტრის სამგლოვიარო ჰანგებს სცვლის „ინტერნაციონალი“.

კინოსურათი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე; იგი უნდა ნახოს ყველა პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკმა, ყველა კომკავშირელმა, ყველა მშრომელმა.

სურათი გადაღებულია რეჟისორ დ. ვერტოვის ხელმძღვანელობით, ტექსტს კითხულობენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვ. ი. კაჩალოვი და არტისტი ან. შვარცი.

ვალ. კვათანელი

◆

„რუსთაველი და მისი ეპოქა“

750 წლის იუბილეს დღეებისათვის შოთა რუსთაველის დაბადებიდან აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ენისა, ლიტერატურისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი გამოუშვებს კრებულს „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“.

ამჟამად უკვე გამოირკვა ამ კრებულის შინაარსი. მასში შევა შემდეგი სტატიები: გ. ვ. წერეთელი — „ნესტან დარეჯანი შუა აზიის არაბულ ფოლკლორში“, კ. ი. ჩაიკინის სამი ესკიზი საქართველოს და ირანის კულტურული კავშირის ისტორიიდან, ნ. ა. ბერძენიშვილი — „სავაჭრო გზები და ცენტრები რუსთაველის ეპოქაში“, შ. ი. ამირანაშვილი — „რუსთაველის იკონოგრაფიისათვის“ და ს. ნ. ჯანაშია „რუსთაველის საზოგადოებრივი არე“.

კრებული ა. ს. თათარიშვილის რედაქციით გამოვა (საქდესი).

თბილისის კონსერვატორიაში ჩამოყალიბდა პირველი კომკავშირული სიმებიანი ანსამბლი, რომელიც ემზადება მთელი რიგი დამოუკიდებელი კონცერტებისათვის. სურათზე: კომკავშირული ანსამბლი: ზ. პიაურელი, შ. ლონდარიძე, კინწურაშვილი და გ. ქაცარავა
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

მე-2 რანგის ტექნიკოსის ამხ. ოსიპოვის ცოლი, რომელმაც მსროლელთა შეჯიბრებაში 80 შესაძლებლობიდან მიიღო 77 ქულა.

ფეხბურთი

ბაქო — თბილისი

12 მარტს, ამხ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგება ბაქოს („დინამოს“) და თბილისის „დინამოს“ (ოსტატების) ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა.

სტუმრების გუნდი ერთი უძლიერესთაგანია ბაქოში. მის შემადგენლობაში აზერბეიჯანის საუკეთესო ფეხბურთელები არიან, შარშან ბაქოს დინამოელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. მათ დაამარცხეს კავშირის რამდენიმე ცნობილი გუნდი, რითაც დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს

ორივე გუნდი თავისი ძირითადი შემადგენლობით ითამაშებს.

◆

ახალი ამბები

○ **მუშურ-გლეხური წითელი არმიის** დემობილიზებული უფროსშემადგენლობის სამუშაოზე გასანაწილებლად თბილისის, ქუთაისის, ბათომისა და სოხუმის საბჭოებში, საქ. სახკომსაბჭოს წინადადებით, უნდა მოეწყონ განსაკუთრებული კომისიები.

○ **მარტის დამლევს** თბილისში ჩამოვა მოსკოვის სტალინის სახელობის ფიზკულტურის ორდენოსანი ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც თბილისის „დინამოს“, „მშენებლებისა“ და „მეცნიერების“ ფეხბურთელთა გუნდებთან ჩაატარებს რამდენიმე შეხვედრას ფეხბურთში.

○ **საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებით,** მთელი წლის განმავლობაში აკრძალულია ნადირობა დედა-ჯიხვსა და ჯიხვის ნუკრზე, გარეულ თხაზე, შველისა და ფსიტის (ნიამორის) ნუკრზე, ხოლო აფხაზეთში მამალ ჯიხვსა და შველზე.

○ **თბილისის სამხატვრო აკადემიის** ყველა დარგის სტუდენტებს პირველი მაისიდან პირველ ივლისამდე საწარმოო პრაქტიკის მისაღებად მიამაგრებენ საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე, რის შემდეგ თბილისში გაიმართება 1936-37 სასწავლო წლის საანგარიშო გამოფენა.

◆

შემთხვევები

გამფლანგველის დაპატიმრება. საქ. მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის განყოფილების თანამშრომლებმა თბილისის სადგურზე დააპატიმრეს გამფლანგველი მ. ს. ციმმერი, რომელსაც სახელმწიფო თანხების მითვისებისა და გაფლანგვისათვის დაეძებდა ქ. ტაგანროგის სისხლის სამართლის განყოფილება. როგორც გამოირკვა, ციმმერი მუშაობდა ქ. ტაგანროგში ერთერთი მაღაზიის გამგის მოადგილედ. მიმდინარე წლის დამდეგს ციმმერმა მიითვისა და გაფლანგა 28 ათასი მანეთი, რის შემდეგ ყალბი დოკუმენტებით და ყორე კიროს გვარით ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. ციმმერი—კირო გაფლანგვაში გამოტყდა. დაპატიმრებულს ტაგანროგში გზავნიან.

დაჭრა. პირადი უსიამოვნების ნიადაგზე ატეხილი ჩხუბის დროს მ. კ. ფოიტენკომ (ლაკობას ქ. 83), ჩხუბის დროს დანით დასჭრა რ. ლუკიანოვი. ფოიტენკო დააპატიმრეს.

ქურდობა. 8 მარტს მოქ. ბ. ტ. ჯაკობიას ავტობუსში ჯიბიდან ამოაცალეს 900 მანეთი. ამ ქურდობისათვის ეჭვით დააკავეს ორი ქალი დ ს. ნერსესოვა და ა. ვ. სადიანცი, რომლებიც მიიყვანეს მილიციის მე-10 განყოფილებაში. აქ ისინი გამოტყდნენ ქურდობაში. ნაქურდალი ფული დაზარალებულს დაუბრუნდა.

ავტოხულიგნობის მსხვერპლი. 8 მარტს დღისით დიდი სისწრაფით მიმავალი საბარგო ავტომანქანა № 55—95, რომელსაც მართავდა შოფერი ნ. გ. ეგიაზაროვი, შაუმიანის ქუჩაზე დაეჯახა მოქ. გ. ნ. არუსტანოვს, რომელიც იქვე გარდაიცვალა. შოფერი დააპატიმრეს.

ხელოვნება

„კოლხიდა“

რუსთაველის სახელობის ორდენოსანი თეატრი დასადგმელად ამზადებს ს. კლდიაშვილის ახალ პიესას „კოლხიდას“ (ადამიანებზე, რომლებიც აღიზარდნენ საქართველოს ერთ-ერთ დიდ მშენებლობაზე—კოლხიდმშენზე).

დამატებითი მასალების შესაგროვებლად ამას წინათ ფოთს გაემგზავრა შემოქმედებითი ბრიგადა, რომელშიაც შედიოდნენ პიესის ავტორი ს. კლდიაშვილი, რეჟისორი-დამდგმელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ორდენოსანი კ. პატარიძე და თეატრის დირექტორი გ. ჭუჭუნავა. ბრიგადა ადგილობრივ გაეცნო კოლხიდის ჭაობთა ამოშრობის სამუშაოებს, მუშათა და ტექნიკური პერსონალის ყოფაცხოვრებას, აგრეთვე უკვე ამოშრობილ ფენებზე აღმოცენებულ ახალ სოფლებს.

ბრიგადამ მდიდარი მასალა შეაგროვა და თბილისს დაბრუნდა. უახლოეს დღეებში თეატრი იწყებს მუშაობას პიესაზე, რომელიც აპრილში დაიდგმება (საქდესი).

○

„თეთრხალათიანები“

თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარული კულტურის ქართული თეატრი დასადგმელად ამზადებს კინგოლეის ცნობილ პიესას „თეთრხალათიანები“ ნ. ჩაჩავას თარგმანით.

პიესაში ასახულია სამედიცინო დარგის მუშაკთა მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ეს პიესა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში წარმატებით იდგმება საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ქალაქების თეატრებში. ქართულად პიესა იდგმება პირველად, სდგამს თეატრის ხელმძღვანელი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვიქტორ ნინიძე, კონსულტაცია პროფესორ კ. ერისთავისა. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ დ. კვირიკაშვილს, მუსიკა კომპოზიტორ ვ. შაჟირზაშვილისა.

◆

„ფეთხაინი“ რუსულ ენაზე

მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულმა გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა გერცელ ბააზოვის რომანი „ფეთხაინი“. წიგნის თარგმანი ეკუთვნის პავლე დადვაძეს, რედაქცია ვ. გოლცევს. წიგნი გამოიცა 10.000 ცალის ტირაჟით, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 330 გვერდს და ღირს 5 მან. 75 კაპ.

◆

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

11 მარტს პროპაგანდისტთა სკოლის მეცადინეობა (ყველა ჯგუფი). საღამოს 7 საათზე.

საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია თემაზე: „ბოლშევიკების პარტიის ბრძოლა „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ“. საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ნაციონალური საკითხი სტალინურ კონსტიტუციაში“. ქართულ ენაზე, საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის შესახებ“. ქართულ ენაზე, საღამოს 7 საათზე. კონსულტანტია ამხ. ივაძე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: 1. ფაშიზმი—ახალგაზრდობის უბოროტესი მტერია. დასაწყისი დილის 11 საათზე. 2. სტალინური კონსტიტუცია და საკუთრების ფორმები საბჭოთა კავშირში. საღამოს 7 საათზე.

○

—კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი იუწყება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომების დარბაზში რაიონის პარტაქტივისათვის შესდგება ამხ. ნ. მახარაძის მოხსენება თემაზე: „1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში“.

— **საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი** აცხადებს, რომ ორჯონიკიძის რაიკომის მიერ გაცემული პარტბილეთები №№ 1507799 — მიხეილ ფოტის-ძე პოპოვის სახელზე, 1508477 — ივანე გრიგოლის-ძე ოსიპოვის სახელზე, 1508305 — ელენე გიორგის-ასულ ბაკურაძის სახელზე და 1510270 — შალვა იაკობის-ძე გურგენიძის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომი** აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0710350, გაცემული ქობულეთის რაიკომის მიერ შებან მემედის-ძე ჯინჭარაძის სახელზე გასული წლის 29 ივლისს, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 15135582, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის მიერ ბენია ივანეს-ძე მურვანიძის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 0710250, გაცემული ზირა ხასანის ასულ გორგოშაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1511675, გაცემული თბილისის რაიკომის მიერ გასულ წლის 17 ივლისს ესტატე კონსტანტინეს-ძე იმერლიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

11-III	ტოსკა
12-III	დილით ქეთო და კოტე საღამოს ტრუბადური

დასაწყისი სრულ 8 საათზე.
ანონსი: მზადდება ბალეტი „მედების ტბა“ ახალი დადგმით.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

11-III	ანზორ
12-III	ანზორ

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

სახცირკი
ტელ. 3-11 44
12 მარტს წარმოდგენა დღისით. დასაწ. 2 ს.

დღეს, 11 მარტს
ჭიდაობს
სამი წყვილი:
1. ვერდენი - გოლუ ზოგ ?.
2. კლიმენტი ბული მედვედენკო.
3. კარელინი - უარა მუსტაფა.
აგრეთვე დიდი საცირკო პროგრამა
წარმ. დასაწყ. 8 ს. 30 წ.
ჭიდ. — 10 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

11-III წარ. № 121	ვერაგობა და სიყვარული
12-III წარ. № 122	პუშკინის საღამო

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი	5, 7 40, 9-20 11	დადგმის მე-2 კვირა მოგზაურობა არზრუმს პრ. გარეშე საგანგ. გამოშვ „ამხ. სერგო ორჯონიკიძის ხსოვნას“
დამკვრელი	6.30, 8, 9-30, 11	ახალი ხმოვ. კომედია მოაგარაკენი
კომკავშირელი	6 30,8 30,10-3	დადგმის მე-2 თვე ხმოვანი სურათი დარიკო
რ. ლუქსემბ.	6,7-40 9-20 11	ხმ. ფილმი უმზითვო საპატარძლო
21 კომ. სახ.	6,7-30.9,10-30	ხმოვ. ფილმი კოპეტი ურმობა
ახალი ამბები		ესპ. ამბები მე 14 გამოშვ. ხმ. ჟურნალები № 6 და 7.

განსახკომის უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსამზადებელი კურსები
ხსნის ახალ ჯგუფს.
პირობების გაგება საღ. 6 საათიდან საბჭოს ქ. № 75, მე-29 სკოლა, მეორე სართული.
16814

საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახკომისარიატთან არსებული
სავაჭრო შუამავლობის საქ. სახელმწიფო
კანტორა
ღებულობს დავალებებს ყოველნაირი საქონლის რეალიზაციისა და სყიდვისათვის.
აწარმოებს საქონლის ხარისხობრივ ექსპერტიზას ადგილებზე გამგზავრებით.
იძლევა კონსულტაციას ვაჭრობის ყველა საკითხზე.
მისამართი: ქალ. თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 13. ტელ. № 3-70-28.
1519

თანახმად საკავშირო სახკომსაბჭოს 1937 წ. 17 თებერვლის დადგენილებისა, საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1937 წ. 23 თებერვლის დადგენილებისა № 198 და საქართველოს შინავაჭრობის სახკომისარიატის 1937 წ. 27 თებერვლის № 51 ბრძანებისა,
საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახკომატის დარგობრივი გაერთიანებები
„საქკვებვაჭრობა“ და „საქვაჭრობა“,
გაერთიანებული არიან ერთ რესპუბლიკურ სავაჭრო ორგანიზაციად სახელწოდებით
„საქვაჭრობა“
საქვაჭრობის დირექცია იმყოფება თბილისში, ძერჟინსკის ქ. № 19, ანგ. 60034.
ხოლო საქვაჭრობის რესპუბლიკური საბითუმო ბაზა იმყოფება თბილისში, ძერჟინსკის ქ., 22, ანგ. 60035.
1033
საქვაჭრობის დირექტორი ჯაფარიძე.

მიიღება ხელისმოწერა
ჟურნალ-გაზეთებზე
1937 წლის მეორე კვარტალის
და წლის ბოლომდე.

გაზეთები

„კომუნისტი“
ყოველდღიური.
1 თვით 2 მ. 50 კ., 3 თვით 7 მ. 50 კ., 6 თვით 15 მ, 12 თვით 30 მ.

„ახალგაზრდა კომუნისტი“
ყოველდღიური.
1 თვით 2 მ. 50 კ. 6 თვით 15 მ.
3 თვით 7 მ. 50 კ. 12 თვით 30 მ

„ნორჩი ლენინელი“
ექვს დღეში ერთხელ:
1 თვით 25 კაპ. 6 თვით 1 მ. 50 კ.
3 თვით 75 კაპ. 12 თვით 3 მ.

ჟურნალები

„ბოლშევიკი“
თვეში ერთხელ.
1 თვით 50 კაპ 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

„ახალგაზრდა ბოლშევიკი“
თვეში ერთხელ.
1 თვით 50 კაპ. 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

„პიონერი“
თვეში ერთხელ.
1 თვით 50 კ. 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

„მშრომელი ქალი“
თვეში ერთხელ.
1 თვით 40 კაპ. 6 თვ. 2 მ. 40 კ.
3 თვით 1 მ. 20 კ. 12 თვ. 4 მ. 80 კ.

„ოქტომბრელი“
თვეში ერთხელ.
1 თვით 50 კ. 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

ხელისმოწერა უნდა ჩაბარდეს:
„სოიუზპეჩატს“, ფოსტას, წერილდამტარებლებს, ხელისმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში და პოლიტგანყოფილებათა გამომცემლობებს ტრანსპორტზე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტი“.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, ყამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3 — 8542